

ცხენები, შეყვარებულები და „რუსთავი-2“

გიორგი ასანიშვილი

ნათქვამია, თივას ცხენისთვის და შეყვარებულებისთვის სხვადასხვა სუნი ახდისო. ეტყობა, ქართულ პოლიტიკაში თივის როლს მასმედია ასრულებს: ზოგიერთ პოლიტიკოსს უნდა, მისგან მხოლოდ სააღერსო სიტყვები ესმოდეს და თავისი, ერთობ საეჭვო, სასიყვარულო გემოვნების სტანდარტებს მთლიანად შეესაბამებოდეს; სხვები კი დიდი ხანია მიხვდნენ, რომ თუ დემოკრატიული ბაზე გაქვს პრეტენზია, მეოთხე ხელისუფლების თავისუფლებამ, შესაძლოა, პირში მხარე გემო დაგიტოვოს, მეტიც - ყელშიც კი გაგეჩხიროს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მასზე, როგორც „საკვებ პროდუქტზე“, უარი უნდა თქვა.

საქართველოს პარლამენტში, საბედნიეროდ, „ცხენები“ ბევრად სჭარბობენ „შეყვარებულებს“. გუშინდელ რიგგარეშე სესიაზე კი სწორედ ამ უკანასკნელებმა ატყვეს აურზაური. მასმედიის ზოგიერთი საშუალების, კერძოდ კი, სამუხებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის საქმიანობაში მათ ანტისახელმწიფოებრივი მიდგომები შეუნიშნავენ და, „ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე“, სურთ, სამშობლოს, რაც შეიძლება მაღელ, ააცილონ საფრთხე. მეტი დამაჯერებლობისთვის, ამ საკითხს ისინი გრანტების თემასთან აკავშირებენ და ითხოვენ კომისიის შექმნას, რომელიც ფინანსური კუთხით შეისწავლის მასმედიის (მიზინგების, ძირითადად, „რუსთავი-2“-ზე და „მე-9 არხზე“) და არასამთავრობო ორგანიზაციების (აქ კი, ბუნებრივია, „თავისუფლების ინსტიტუტი“ ფიგურირებს) საქმიანობას.

„რუსთავი-2“ ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ეწევა, მას ამაზრზეონი და საზოგადოებრივი ინტერესები უსაფრთხოების საფრთხე უქმნის და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით, ნაწილობრივ გვიწამლავს გონებას,“ - აცხადებს ელზაზაზა ჯავახიშვილი, რომელიც სისტემურად იმასაც უსვამს ხაზს, რომ ბუნებრივი წარმომადგენლები მას მთელი ცხოვრება დევნიდნენ.

გაზეთი 24 საათი

შე კომადივას არ გადაწყვეტავს

A2

მანანაძეები ვანო ჩხარტიშვილს ვცო ათას დოლარს სთხოვან

A4

დეიკალო 'თხილბაგს' სასამართლოში უჩივლებს

A4

სასამართლო ვალერი ასათიანს დირსება შეაფასა

A7

306 გაყიდა რუსული იარაღი

A7

აქონები		
თბილისი	28	
ქუთაისი	23	
ბათუმი	22	
სოხუმი	23	
ფოთი	22	
თელავი	26	
ზუგდიდი	23	
გორი	24	

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში	
აშშ დოლარი	2.2000
ევრო	2.1523
გირვანქა სტერლინგი	3.3574
რუბლი	0.0698

„ამ პარლამენტს მოგვალე არ აქვს!“



ლევან სარგაძის ფოტო

თამარ ხორბალაძე

სამშაბათს საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის შელაპაარაკებამ ფარდა ახადა კონფლიქტს, უფრო სწორად, პერსპექტივას, რომლის შესახებაც საპარლამენტო კულუარებში უკვე კარგა ხანია, საუბრობენ. საქართველოს პარლამენტს დღეს, ისევე, და კიდევ უფრო მეტადაც, ვიდრე თავისდროინდელი „მორჩილი უმრავლესობის“ პერიოდში, მთავრობის (გამბობთ მთავრობას, ვგულისხმობთ ჯორბენაძეს და მის პარტიას) უპირობო ზეგავლენის ქვეშ მოხვედრის საშიშროება ემუქრება.

„პარლამენტმა საკუთარ თავს ხარაკირი გაუკეთა,“ - განაცხადა გუშინ მიხილ მაცაგარიანმა მას შემდეგ, რაც პარლამენტმა უარი თქვა მთავრობის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული დადგენილებების დამტკიცებაზე. თუმცა, ეს მხოლოდ სიმპტომი გახლდათ იმ პროცესისა, რომელიც პარლამენტში ბოლო პერიოდში განვითარდა. თავისთავად, „გაერთიანებულ დემოკრატებს“ იმთავითვე მშვენივრად ესმოდათ, რომ მსგავსი დადგენილებები, სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, გაზიარებული არ იქნებოდა. მათ მშვენივრად მოეხსენებოდათ ისიც, რომ დღეს ჯორბენაძის მხარდამჭერთა რიგებში აღმოჩენილი ოპოზიცია, აუცილებლად გაუხსენებდა ზურბა ჟვანიას და მის გუნდს იმ მხარდაჭერას, რომელსაც ეს გუნდი პრეზიდენტისთვის გასული წლების ბიუჯეტების დამტკიცების დროს უზრუნველყოფდა.

გაზეთი 24 საათი

საქართველოს არჩევანი არადანის გარეშე

თამარ იაკობაშვილი

საქართველოს სტრატეგია და საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრი

საქართველო 24 საათი

ცივი ომის დასრულებას შედეგად მოჰყვა არა მარტო სოციალისტური ბანაკის, არამედ სოციალისტური წყობისა და გეგმიური ეკონომიკის კრახი, რამაც ავტომატურად მოითხოვა დამსაჯული ბანაკისა და თვით სსრკ-ს ყოფილი წევრებისაგან ახალი პოლიტიკური წყობისა და ეკონომიკის მოდელის არჩევა. არჩევანი კი არც ისე მრავალფეროვანი აღმოჩნდა - ან დემოკრატია და

საბაზრო ეკონომიკა, ან ავტორიტარული რეჟიმი და კლანური პრინციპებით მოწყობილი ეკონომიკა. ახლად წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, სახელმწიფოებრიობის ხარისხითა და დამოუკიდებლად განვითარების პოტენციალით, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. დღევანდელი გადასახედიდან აშკარად ჩანს, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებსაც სახელმწიფოებრიობის მაღალი ხარისხი (ყოფილი ვარშავის პაქტის ქვეყნები) ან სახელმწიფოებრიობის ჯერ კიდევ შემორჩენილი მემკვიდრე (ბალტიის ქვეყნები) გააჩნდათ, პირველი გზა, ანუ დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა არჩიეს. იმ ქვეყნებ-

ში კი, რომლებშიც სახელმწიფოებრიობის გრძნობა ვაცლებით დაბალ დონეზე იდგა, სხვადასხვა ფორმის ავტორიტარიზმმა და კლანურმა ეკონომიკამ ჰპოვა ნოყიერი ნიადაგი. ამავე დროს, არაერთი მილიონი დოლარი დაიხარჯა დემოკრატისა და საბაზრო ეკონომიკის ხელშესაწყობად, რასაც სასურველი შედეგები ვერ მოჰყვა. შესაბამისად ჩნდება კითხვა: უნდა გავრძელებს თუ არა ამ ტიპის დახმარება მისი არაფუქტურის გამო. ქართული სახელმწიფოსთვის, და არა მარტო მისთვის, ამ კითხვებზე პასუხს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

გაზეთი 24 საათი

ბრაზი და სიამაყე



4 ივლისი. დამოუკიდებლობის დღე

REUTERS

„როცა პირველად მიუფუკევი საბეჭდ მანქანას, შემეყვარა სიტყვები, რომლებიც წვეთებვით ერთი მეორის მიყოლებით ჩნდებოდნენ, და კვალს ქალაქის თეთრ ფურცელზე ტოვებდნენ... თითოეული წვეთი რაღაცად გადაიქცა... და თუ მთქვამი გაფრინდება, ქალაქზე დაწერილი სიტყვა რჩება, იმისა და მიუხედავად, კარგია თუ ცუდი.“

გთავაზობთ ნანყვეტს ორიანა ფალაჩის სტატიიდან „ბრაზი და სიამაყე“, რომელიც იტალიურ გაზეთ Corriere della Sera-ში დაიბეჭდა. ორიანა ფალაჩი 74 წლის იტალიელი ჟურნალისტი და მწერალია. თუმცა, ის მრავალი რომანისა და მემუარების ავტორია, მას ყველაზე კარგად იცნობენ, როგორც უკომპრომისო პოლიტიკურ ინტერვიუერს. მისი რესპოდენტები იყვნენ: იასირ არაფატი, ირანის შაჰი, ჰენრი კისინჯერი, ინდირა განდი, ვილი ბრანდტი, აითოლა ჰომეინი და სხვები. ჟურნალისტიკის განვითარებაში განუვლი ღვაწლისთვის მას არაერთი ჯილდო მიანიჭეს: წმინდა ვინსენტის 2 ჯილდო, ბანცარელას ჯილდო (1971), ვიარეჯის ჯილდო (1979), ანტიტეს ჯილდო. ქალაქათონი ფალაჩი არის ჩიკაგოს, კოლუმბიის, ჰარვარდისა და იელის უნივერსიტეტების ლექტორი. მისი წიგნები ნათარგმნია ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, გერმანულ, შვედურ, პოლანდიურ, ხორვატულ და ბერძნულ ენებზე.

გაზეთი 24 საათი

ავთანდილ ჭორბენაძე პარლამენტში მივიდა, იჭდა, გაიშარჭა...

გიორგი ასანიშვილი

გუშინდელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პარლამენტმა სახელმწიფო მინისტრს ოთხი თვის ბიუჯეტის შესრულებლობა ააბატია, მაგრამ საშემოდგომო სესიაზე მას პასუხს მაინც მოსთხოვენ, მხოლოდ პირველ ნაწილში გამოდგა სწორი: საკანონმდებლო ორგანოში ამჟამად არსებულ ძალა ბალანსის წყალობით, ავთანდილ ჯორბენაძემ დემუტატების წინაშე პასუხისმგებლობა მთლიანად აიცილა თავიდან და წლის ბოლომდე შეუძლია მშვიდად იყოს - სულაც რომ გაჩნდეს მიმდინარე წლის ბიუჯეტი, ამისთვის საკანონმდებლო კორპუსი მას პასუხს ვერ მოსთხოვს.

არადა, სახელმწიფო მინისტრისთვის გუშინდელი დღე პარლამენტში არც თუ ისე კარგად დაიწყო: პარლამენტში არსებობდა დადგენილების ორი პროექტი, რომლებიც, მართალია, სხვადასხვა ხარისხით, მაგრამ ავთანდილ ჯორბენაძეს მაინც უსამოგნებებს უქადნენ. პირველი დოკუმენტი საფინანსო-საბიუჯეტო კო-

მიტეტში შემუშავდა და შედარებით რბილი იყო.

2002 წლის ოთხი თვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგემო პარამეტრების შესრულებლობისთვის, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა მიჩნეულ იქნას არასაკმარისად; დაეცა მთავრობის, წლის ბოლომდე მიიღოს გადაჭრული ზომები ბიუჯეტის შესახებ კანონით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგეს მთავრობის წევრთა პასუხისმგებლობის საკითხი, - ასეთ განაჩენს უმზადებდა ზაზა სიორიძის კომიტეტი სახელმწიფო მინისტრს.

უფრო მკვეთრი იყო ფრკცია „დემოკრატების“ მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი. ოპოზიცია ითხოვდა, რომ მთავრობის საქმიანობა შეფასებულიყო არადამაკმაყოფილებლად, პრეზიდენტის წინაშე დამდარყო სახელმწიფო მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი და ოქტომბერში აღმასრულებელ ხელისუფლებას პარლამენტში წარმოედგინა ანგარიში ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

გაზეთი 24 საათი

ლარი სახეს იცვლის ავტოსტოპის მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ორგვარი ბანკნოტი იქნება

გიორგი კალანდია

ავტოსტოპის დასაწყისში ეროვნული ბანკი მიმოქცევაში ლარის ახალ ბანკნოტებს გაუშვებს, რომლებიც ძველი კუპონებისგან მცირედით განსხვავებული იქნება. მაგალითად, ახალი ტიპის ერთი, ორი, ხუთი, ათი და ოცლარანი ბანკნოტები უფრო სქელ ქაღალდზე დაიბეჭდება. ოდნავ შეიცვლება კუპონების დიზაინი. ფულის

წილზე გაჩნდება ე.წ. უსინათლოთა ნიშანი... ეს მცირე ჩამონათვლია იმ ცვლილებებისა, რაც ახალ კუპონებს ძველისგან განსხვავებს. თუმცა, ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ განახლებული ბანკნოტების მიმოქცევაში გამოცვლამ ოსახლუბოში პანიკა არ უნდა გამოიწვიოს, რადგან ძველ კუპონებს ისეთივე მსყიდველუნარიანობა ექნება, როგორც ახლებს.

გაზეთი 24 საათი

„ამ პარლამენტს მომავალი არ აქვს!“



სამუშაო ადგილები

პირველი გახიზნა

ამიტომ, „24 საათისთვის“ ამ გადაწყვეტილების კომენტარებისას (განახლებული „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციების პოზიცია თავისთავად გასაგებია) „მრეწველი“ ვახტანგ ხმალიაძე, „სოციალისტი“ ირაკლი მინდელი, „ახალი“ ფიქრია ჩიხრაძე, სავარაუდოდ, აბსოლუტურად გულწრფელნი იყვნენ. ისინი პარლამენტში დადგომულ ფარსზე და მის დრამატურგიაზე, ანუ იმ ობიექტურ მიზეზებზე საუბრობდნენ, რომელთა მიხედვითაც ავთანდილ ჯორბენაძისათვის ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხის მოთხოვნა ეწინააღმდეგება „მოქალაქეთა კავშირის“ ტრადიციას, სწორედ ამ პარტიას, „რომლის ნაფლეთებიც დღეს ერთმანეთის ყველაზე დიდი მონინააღმდეგეები არიან“.

თუმცა, ამ მიზეზების მიუხედავად, გუშინ საქართველოს პარლამენტში შექმნილმა სიტუაციამ გამოიღო შედეგი, რომელსაც ორდღიანი განხილვის ინიციატორი „გაერთიანებული დემოკრატები“ მიესწრაფოდნენ: მიუხედავად მოტივებისა (არგუმენტები ჯორბენაძის პასუხისმგებლობის დასაყენებლად დღეს, დაახლოებით, იმდენივეა, რამდენიც არგუმენტები, რომლებიც მას ამ ეტაპზე პასუხისმგებლობას ააცილებდა), პარლამენტმა კიდევ ერთხელ სახალხო დაფიქსირა „მორცხვი უმრავლესობის“ (ამ ეპიზოდს გუშინ აქტიურად ატრიალებდნენ „გაერთიანებული დემოკრატები“) არსებობა, რომელიც ჯორბენაძის სასარგებლოდ არგუმენტებს უფრო კარგად ხედავს, ვიდრე მის საინააღმდეგოდ.

გუშინდელი გადაწყვეტილებით პარლამენტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ სიტუაცია, ბიუჯეტის დამტკიცების მომენტთან დაკავშირებით, საქართველოს საკანონმდებლო ხელი-

სუფლებში კარდინალურად შეცვლილია. თუ ოთხი თვის წინ პარლამენტმა ბიუჯეტის ოთხი თვის შედეგების მოსმენის აუცილებლობა ალიანსა, გუშინ იგივე პარლამენტარები მსგავს განხილვას უკვე უსაგნოდ დროს ფლანგვას უწოდებდნენ.

ეს ფონი საკანონმდებლო ხელისუფლებაზე ჯორბენაძის ზეგავლენის დასაფიქსირებლად საკმარისიც შეიძლება აღმოჩენილიყო, თუმცა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომელიც პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას წინ უდგოდა.

ყველაფერი თითქოს მოულოდნელად აგორდა - პარლამენტის ტრიბუნასთან მდგომმა ავთანდილ ჯორბენაძემ საჭიროდ ჩათვალა მის დასაცავად გამოსულ ვიტალი ხაზარაძეს გამოსარჩევად, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარის მითითებით მიკროფონი გაშორდნენ. სახელმწიფო მინისტრმა პარლამენტის თავმჯდომარეს, შრაქტიაკულად, შენიშვნა მისცა. - „ჯერ კიდევ მე ვარ მეორე პირი ქვეყანაში... ნუ მისცხენ თავს ამის უფლებას, ამ შენობაში მაინც...“ - დაახლოებით ასე უღერდა პარლამენტის თავმჯდომარის წინა ბურჯანაძის რეაქცია.

ავთანდილ ჯორბენაძის გაცხარებასთან დაკავშირებით, გუშინ „24 საათისთვის“ პარლამენტართა მიერ გაკეთებული კომენტარები რადიკალურად ურთიერთსაპირისპირო გახლდათ. მაგალითად, „სოციალისტი“ ირაკლი მინდელი აცხადებდა, რომ გაგრილდნენ მაყურებელ ადამიანს, შესძლია, მართლაც შექმნილი ილუზია, რომ წინა ბურჯანაძე ბიუჯეტის შესრულების შედეგების განხილვას შეგნებულად აჯანყდებდა და სახელმწიფო მინისტრის გათხოვანებაც, შეიძლება, ამით აიხსნას. „ტრადიციონალისტი“ მაია ნადირაძე კი მიიჩნევდა, რომ „ჯორბენაძემ კიდევ

ერთხელ დაადასტურა, რომ კრიტიკის მოსმენა არ შეუძლია. ადამიანი, რომელსაც კრიტიკის მოსმენა არ შეუძლია, პოლიტიკოსი არ არის და ვერც ვერასოდეს იქნება“.

თუმცა, მიუხედავად ასეთი რადიკალური დავებისა, ყველა უწყალოდ იმ პერსპექტივას (უფრო სწორად, მისი აღსრულების რეალიზაციას ამ პარლამენტში), რომელზეც გუშინ „გაერთიანებულმა დემოკრატმა“ ვასილ მაღლაფერიძემ მიგვანიშნა. მან „24 საათთან“ საუბრისას „კულტურული კარტები გახსნა“:

„ის, რომ უფროდ პარლამენტის თავმჯდომარეს, თითქოს შემთხვევით, შეუტყოს „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციების წარმომადგენლებმა, სულაც არ იყო შემთხვევითი. „მოქალაქეებს“, რომელთაც ხელში აქვთ მთავრობა, ახლა პარლამენტზე სურთ კონტროლის დაწესება. სურთ, იხილონ საკუთარი კადრები პარლამენტის თავმჯდომარედ. მათ ჰქონდათ საკუთარი წარმომადგენლის შეყვანის ცდები, მაგრამ სპიკერის, მაგრამ ვერ მოახერხებდა. დღეს ამ პროცესს ახლავს ნერვიული ფონი, რადგან „მოქალაქეებს“ არ გააჩნიათ საკმარისი ხმები თავმჯდომარის გადასაყენებლად. თუმცა, ფონის შემზადება უკვე დაიწყო, დაინიშნა არაობიექტურობაზე საუბარი, მისი პროპაგანდა...“

უკვე აღვნიშნეთ, რომ ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები მსგავს შეთქმულებაში მონაწილეობას უარყოფენ. ტრადიციონალისტმა ქალბატონმა კი განვეცხადე, რომ, პარლამენტში ასეთი ფონის არსებობის მიუხედავად, თავად ჯორბენაძის მხარდამჭერ ძალებში გაერთიანებული პარლამენტარებს საერთო კანდიდატურაზე შეჯერება გაუჭირდება და, საჭირო ხმების არქონასთან

ერთად, ესეც სერიოზული წინააღმდეგობაა, პარლამენტზე „მოქალაქური შტურმის“ განმარტოვებლობისათვის. პოლიტოლოგი რამაზ კლიბიაშვილი ამასთანავე დონით ადანაშაულებს მთავრობასაც და თავად პარლამენტსაც. „დიდი ხანია, რაც პარლამენტის მთავრობის გავლენის ქვეშაა მოქცეული. ამის მიზეზია როგორც მთავრობის სიძლიერე, ასევე პარლამენტის სისუსტე. მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო პარლამენტის სისუსტის ბრალია, რომ საკანონმდებლო ორგანო შევარდნაძის, ჯორბენაძის და „მოქალაქეთა კავშირის“ გადაწყვეტილებებს ემორჩილება. პარლამენტის საერთოდ ფუნქციონირება არ არის არანაირი შანსი არა აქვს. ეს ყველა შემადგენლობაზე უსუსტი შემადგენლობაა. დღევანდელმა სხდომაში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მას მომავალი არა აქვს. ერთი სიტყვით, პარლამენტი ურეიტინგო და არაფრის მქონე ორგანოა. სამწუხაროდ, იმის შეგნებაც კი არა აქვთ, რომ ეს ალიარსი“ - განაცხადა მან „24 საათთან“ საუბრისას.

ამასთან დაკავშირებით საკმარის კარგ მიზინვარება შეიძლება ჩაითვალოს მაია ნადირაძის განცხადება, რომელიც მან პარლამენტის მიერ მიღებული ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებების კომენტარებისას გავიყვანა: „მიუხედავად იმისა, რა გადაწყვეტილება მიიღებენ ამ პარლამენტში, თავად ქვეყანაში იცვლება სიტუაცია. ხალხს, რომელიც ამ მთავრობის აპოლოგეტია, არ ესმის, რომ მათივე დამოკიდებულება საზოგადოებაში მკვეთრად უარყოფითია, რაც საბოლოოდ აუცილებლად დაფიქსირდება. ერთი წელი, ანუ მომავალ არჩევნებამდე ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, დაკიდებულნი გაქვდნენ“.

პირველი გახიზნა

მართალია, ჯგველიძისგან განსხვავებით, პარლამენტარ გენო კალანდის დისიდენტურ წარსულზე პრეტენზია არა აქვს, მაგრამ „რუსთავი-2“-ის შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებაში მასაც და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო საზოგადოების საქარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს (ჯგველიძეს) აბსოლუტურად ერთნაირი პოზიცია აქვთ.

„ადამიანები, რომლებიც გრანტებით ცხოვრობენ, არ შეიძლება, თავისუფლებას და დემოკრატიაზე ამდენს დააპრაკობდნენ“, - ეს სიტყვებიც გუშინდელი სხდომის დროს თავისუფლად აზროვნების სიმბოლოს - პოეტის (და დეპუტატის) ბაგე თავან გადმოიღვნა.

როდესაც შემოქმედებითი ინტელექტის წარმომადგენელი პოლიტიკოსები ასე ორიგინალურად უღვებიან საკითხს, რაღა გასაკვირია, რომ პროზაული პროფესიის (ინჟინერ-სისტემოტექნიკოსი) მქონე დეპუტატ ანზორ აბრალავასაც არ მოსწონს დემოკრატის ასეთი ხარისხი და ისიც „ენჯელოებს“ ფინანსურ რევიზიას ითხოვს. ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარისთვის, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ისიც გაუგებარია, „თუ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის სახელი რატომ ასოცირდება დასჯელთა და რატომ იღებენ ისინი იქიდან ყველაფერს, მაგრამ ქვეყანას არაფერს აძლევს“. ანზორ აბრალავა იმასაც ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, ტელევიზორებზე სისტემატური გამოსვლისთვის ზოგიერთი ფულს იხდიან.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ, საქართველოს პარლამენტში ასეთი განწყობა არ დომინირებს. კიდევ უფრო სასიხარულოა ის, რომ მსგავსი მიდგომა, ეტყობა, ხელისუფლებისგან არ მომდინარეობს და მხოლოდ ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის პოზიციას წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, პროსახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენლები გუშინ ლიად გაემიჯნენ ჯგველიძე-კალანდია-აბრალავას მოსაზრებებს.

შეტიც: ფრაქცია „თანადგომის“ წევრი არამაზ ახვლედიანი ზემოთ დასახელებული სამუშაოს ინიციატივას „პროფოკაციულს“ უწოდებს და ვარა-

უდობს, რომ გარკვეულ ძალებს ახალი პროფოკაციის აგორება უნდა. „რუსთავი-2“-ს არც პროფესიონალიზმი აკლია და არც სამშობლოს სიყვარული. მე უნდა ვუსაყვედურომ ჯგუფებს, რომლებიც ამ ტელევიზიაზე შემოქმედებას ცდილობენ. არ შეიძლება პარლამენტში დღეს გამომეტყულო აზრების განხილვება და საზოგადოებისთვის მისი მიწოდება, როგორც საკანონმდებლო ორგანოს საერთო პოზიცია“, - აცხადებს არმაზ ახვლედიანი.

ფრაქცია „აღიანისი - ახალი საქართველოსთვის“ თავმჯდომარეს ირაკლი გოგავას მიაჩნია, რომ სახელმწიფომ შეიძინა თავისუფლების მაცხელი ლური ხარისხი უნდა მიანიჭოს და მას საგადასახადო თუ სხვა სახის შეღავათები დაუწესოს. მასმედია რომ მიხედვად და დახმარება სჭირდება, ამ აზრს პარლამენტარი მიხეილ ნანეთივილიც იზიარებს, მაგრამ იქვე იმასაც დასძინებს, რომ ეს არ უნდა მოხდეს დემინსტრირების გზით.

„თუ ხელისუფლების პირველი სამი შტოდან რომელიმე ჩაერევა მეოთხის საქმიანობაში, მაშინ ნებისმიერ მოქალაქეს ექნება უფლება, თქვას: ჯერ თქვენს თავს მიხედეთ“, - შენიშნავს „მოქალაქეთა კავშირის“ სიით პარლამენტში არჩეული ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე.

ვიცე-სპიკერი გივი ნერეთელიც შემოთავაზებული იმით, რაც პარლამენტში გაცხადდა. „მასმედია კრიტიკა დასაშვებია, შეიძლება ითქვას, რომ მის პოზიციაში რამდენი სწორი ან არასწორი იყო, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ მისი საქმიანობის აკრძალვა მოითხოვო“, - შენიშნავს ნერეთელი.

როდესაც „რუსთავი-2“-ში გამოვლენილი, ფული არასდროს გამოუთმევი, - ანზორ აბრალავას მოსაზრებას უარყოფს „ტრადიციონალისტი“ აკაკი ასათიანი და განაგრძობს: „ამ ტელეკომპანიის ყურნალისტები ასახვენ იმ ვითარებას, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი და თავის საქმეს უკეთ აკეთებენ, ვიდრე ჩვენი. კაკი სარკვენი რომ ჩაიხედავს და თავისი თავი ამ მოენიშნება, სარკვე უარ უნდა განარჩადს.“

თითქოს არამაზ ახვლედიანი, მაგრამ მანაც კარგია, როდესაც ზოგჯერ „შევიარებულს“ „ცხენებს“ სჭარბობენ.

ავთანდილ ჯორბენაძე პარლამენტში მივიდა, იქნა, გაიქცა...

პირველი გახიზნა

მოგვიანებით მოხდა ამ ორი პროექტის შეჯერება. შეთანხმებული ვარიანტს საფუძვლად დაედო საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ შემუშავებული სრული ტექსტი და დამატა „დემოკრატების“ მოთხოვნა ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების შედეგად პარლამენტში მთავრობის ანგარიშით წარდგომის თაობაზე. რაც შეეხება პრეზიდენტის წინაშე ავთანდილ ჯორბენაძის პასუხისმგებლობის საკითხს, იგი ალტერნატივის სახით უნდა დაიდგარი კენჭისყრაზე.

შევერებულ ვარიანტს რვა ფრაქცია („ახლები“, „დემოკრატები“, „ალიანსი“, „ერთიანი საქართველო“, „ახალი აფხაზეთი“, „ტრადიციონალისტი“, „ნაციონალები“ და „სოციალისტები“) უჭერდა მხარს, მაგრამ ბოლო მომენტში, როდესაც დადგენილების პროექტი უკვე კენჭისყრაზე დაგებულია, სხდომათა დარბაზში თითქოს ვიღაცის მითითება

მიიღეს და ... „სოციალისტებმა“ დადგენილების პროექტის გადასინჯვა მოისურვეს, ზოგიერთ სხვა ფრაქციებში „მერყევი ელემენტები“ გამოჩნდნენ და ზახა სიორიძემაც მუდმივდრო ვარიანტი უკან გაიწოვა.

დარბაზში მიხეილ სააკაშვილის შემოჭრამ და მის მიერ პრეზიდენტ შევარდნაძის კრიტიკამ ბევრი პარლამენტარი კიდევ უფრო დააფრთხო და შედეგად, საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტისა და „დემოკრატების“ ცალ-ცალკე კენჭისყრა პროექტში საბარტევიონდ ჩაგარდა: პირველ დოკუმენტს მხოლოდ 13-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, მეორეს - 30-მა, ანუ ბოლოს მოხდა ის, რაც სავარაუდოდ იყო - სახელმწიფო მინისტრმა ნლის ბოლომდე (და ალბათ, უფრო შორეული მომავლისთვისაც) პარლამენტისადმი „ხელშეუხებლობის“ გაერთიანებული პროექტი უკვე კენჭისყრაზე დაგებულია, სხდომათა დარბაზში თითქოს ვიღაცის მითითება

შეხილვით იფიქროთ, რომ ახალი საკრებულო შეიკრება

თამარ მჭედლიძე

„დღეს თბილისის საკრებულო ვერ ფუნქციონირებს, დედაქალაქს არ გააჩნია წარმომადგენლობითი ორგანო. მომავალიც საკმაოდ ბუნდოვანია. როდის შემუშავდება ბიულეტენების გადათვლის წესი, როდის გადაითვლება ბიულეტენები, უცნობია. ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ამ პროცესში მონაწილეობა მიიღეს საკრებულოს წევრებს, რომლებიც თანახმად, 1998 წელს შექმნილ საკრებულოს უფლებამოსილება შეუნდებდა ახლადარჩეული საკრებულოს პირველივე სხდომაზე. ამით ახალ საკრებულოს პრობლემა ნამდვილად არ შექმნება. საპირისპირო აზრიც გამოითქვა, მაგრამ საკითხი მაინც შევიდა რიგგარეშე სესიის დღის წესრიგში.“

ამის მიუხედავად, ნავაძის პროექტს საკმაოდ ბევრი ოპონენტი ჰყავს, პირველ რიგში კი ფრაქციები - „მოდრობა დემოკრატიული რეფორმებისათვის“ და „დემოკრატია“. დავეთვა ტყუილად ვეფხვი: „პარლამენტის დილის სხდომაზე შეიმუშავდა, ამ სიტყვების სრულყოფითი მნიშვნელობით, დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 1998 წელს არჩეული საკრებულოსთვის უფლებამოსილების გაგრძელებას. ეს არის საკანონო, არაკონსტიტუციური და მისი მიღება არ უნდა დაეშვათ. ჩვენ ამხარს ვუჭერთ საკრებულოს ამოქმედებას. სამწუხაროა, რომ რამდენიმე პარტიამ, ნების თუ უნებლიედ, ბრმა იარაღი ამოიჩინა ხელისუფლების ხელში და ახალ საკრებულოს მუშაობის დაწყების საშუალება არ მისცა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა დაევალოს, რამდენიმე დღის განმავლობაში, თბილისის საკრებულოს არჩევნების საბო-

ლო მოგვეგების დადგენა და თუ ვის ვერ მოახერხა, საკრებულო მაინც უნდა შეიკრებინ. ცესკომ კი შექმნილ სიტუაციაზე ამის პარალელურად უნდა იმსჯელოს“.

სხვათა შორის, ნუგზარ ნავაძემ თანამოაზრენი ვერც სახელისუფლებო ფრაქციებში იპოვა. გლდანის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ფრაქცია „თანადგომის“ წევრმა შინაშე მიწობაშიც გაზეთ „24 საათთან“ საუბრის დროს განაცხადა: „იმის მიუხედავად, რომ მძიმე მდგომარეობაშია საკრებულო, ახალი მოწვევის საკრებულო ძალიან სანარაფად უნდა შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას. ბიულეტენების გადათვლამ არა მგონია, შედეგი მოიტანოს, არამედ მარადიონად, რომ პრობლემის გადაჭრაში მონაწილეობა პარლამენტს მიიღოს. არსებობს თვითმართველობის კანონი, არის ცენტრალური საარჩევნო კომისია. მათ თვითონ უნდა გადაწყვიტონ ეს პრობლემა. თანაც თვითმ-

მართველობის შესახებ კანონი სულ ცოტა ხნის წინ მივიღეთ და არა მგონია, ახლა მონაწილენი იყოს, მასში კიდევ ცვლილებები შეტანა.“

ვისუფლად მოასწრებენ ბიულეტენების გადათვლას. რაც შეეხება ცესკოს და დინტებს, არც მათთვის უნდა უყვარდეს ინტერესები იკვებება. „ცესკოს“ არ სურს საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა, ზოგ პოლიტიკურ პარტიასაც არ სურს ახალი საკრებულოს ამოქმედება, რადგან წინაში მას საკმაოდ დიდი წარმომადგენლობა ჰყავდა. ქალაქის ხელმძღვანელობას ეს პრობლემები არც კი აინტერესებს. რაც შეეხება ვაკუუმს — ყოველ ზეფხულს პარლამენტშიც და საკრებულოც შევუბლებაში ვაღიან. წინა წლებშიც, ზეფხულობით, თბილისის საკრებულო არ ფუნქციონირებდა. ამის გამო არანაირი ვაკუუმი არ შექმნილა. ნებისმიერ შემთხვევაში სექტემბრამდე ბიულეტენების გადათვლა დასრულდება“ - განაცხადა ზურაბ ტყეშელაშვილმა.

საერთაშორისო აზრები

ვინ არის პასუხისმგებელი გერმანიაში მოხდარ აპოკალიფსტროფზე?



REUTERS

უკვე გაურკვეველია, რომელ გაფრთხილებას მოჰყვა პილოტის რეაქცია. გერმანელმა გამომგებლებმა განაცხადეს, რომ რუსმა პილოტმა მეორე გაფრთხილებას უპასუხა. რაც

შეგება იმას, არის თუ არა 50 წამი საკმარისი ასეთ შემთხვევაში, სპეციალისტების განცხადებით, 50 წამი იდეალური ვარიანტი არ არის, თუმცა, საერთაშორისო სტანდარტებით

ტექნიკურად ძალიან მოკლე მონაკვეთადაც არ არის მიჩნეული. თვითმფრინავების შეჯახების შემდეგ 71 ადამიანი დაიღუპა, აქედან 52 ბავშვია. (Reuters)

აშშ ბაირო-ს კომპრომისის სთავაზობს

აშშ-მკოპას შორის აზრთა მზარდი სხვადასხვაობა

- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო: გაერო-ს უშიშროების საბჭო უარს აცხადებს დააკმაყოფილოს აშშ-ის მოთხოვნა, რომ ახალი სასამართლოს იურისდიქცია ამერიკელ მშვიდობისმყოფელებზე არ გავრცელდეს. ვაშინგტონი იმუქრება, რომ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციებში აღარ მიიღებს მონაწილეობას. აშშ მიმობს, რომ სასამართლო გამოიძევა პოლიტიკურად მოტივირებული იქნება.
- ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი: ევროპელი ლიდერები უარს აცხადებენ არაფაქტის ხელისუფლებიდან მოშორების აშშ-ის მოთხოვნის მხარდაჭერაზე. მათ მიაჩნიათ, რომ ლიდერის არჩევა პალესტინელების უფლებაა.
- ავღანეთი: ევროპა მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ძლიერი დემოკრატიაა საჭირო, ბუში კი ავღანეთის სახელმწიფოს მშენებლობის მიმართ მცირე ინტერესს იჩენს.
- ტარიფები ფოლაზე: ევროკავშირი და ევროპის დანარჩენი სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ აშშ-ის მხრიდან იმპორტირებულ ფოლაზე ტარიფების გაზრდა პროტექციონიზმი და თავისუფალი ვაჭრობის წესებს ეწინააღმდეგება. მოსალოდნელია, ევროპის მხრიდან საპასუხო ტარიფების შემოღება.
- კომპანიების გადასახადები: აშშ-ში უცხოური კომპანიებისთვის, რომელთაც ამერიკელი კომპანიები ჰყავთ, დაწესებული გადასახადი ფაქტორად ექსპორტის სუბსიდირების წარმოადგენს, რაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებს ეწინააღმდეგება.
- ეროვნული თავდაცვა: ევროპა ეჭვის თვალით უყურებს აშშ-ის სარაკეტო თავდაცვის პროექტს. ვაშინგტონი მიიჩნევს, რომ ევროპა თავდაცვაზე საკმარის არ ხარჯავს.
- “ბოროტების ლერი”: ბუშის იანვრის გამოსვლამ ის ევროპელები გააღიზიანა, ვინც ე.წ. ურჩი სახელმწიფოების მიმართ – ირანი, ერაყი, ჩრდილოეთი კორეა, ლიბია, კუბა და სირია - უფრო შემოკლებული მიდგომის მომხრენი არიან.
- გარემოს დაცვა: აშშ-ს მსოფლიოში გარემოს დაბინძურებაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის და ის ფაქტი, რომ მან გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის კიოტოს ოქმის ხელმოწერაზე უარი განაცხადა, ევროპელების კრიტიკა გამოიწვია.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელმა ზაიგერ სოლანამ განაცხადა, რომ ევროკავშირი მზადაა, საკუთარ თავზე აიღოს ბონისის საერთაშორისო სამშვიდობო მისია, თუ შეერთებული შტატები ბონისიდან თავისი სამხედრო ძალების გაყვანის გადაწყვეტილებას მიიღებს.

ევროკავშირის ამერიკელები მაინც უნდა შეეცვალო მომავალი წლის იანვარში. ზაიგერ სოლანას თქმით, ევროკავშირი მზადაა ეს პროცესი დააჩქაროს, რათა ბალკანეთზე უმნიშვნელოვანესი სამშვიდობო მისია არ ჩაიშალოს.

ერთი დღით ადრე, სამშაბათს შეერთებულმა შტატებმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საკითხთან დაკავშირებით გაერო-ს კომპრომისული წინადადება შესთავაზა. ამერიკელთა გეგმის თანახმად, აშშ-სა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს დანარჩენ ოთხ წევრს ახალი სასამართლოს მიერ მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ გამოძიების წარმოების შემთხვევაში ვეტოს გამოყენების უფლება ექნება. უშიშროების საბჭოს წევრებმა აშშ-ს წინადადება სამშაბათს სალამოს განიხილეს. საბჭოს 14 წევრი (სულ 15 წევრია, აშშ-ს ჩათვლით) ამერიკის ამ წინადადებას დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდა, რადგან, მათი აზრით, ამით სასამართლოს უფლებამოსილება შეიზღუდება.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომის 1997 წლის ხელშეკრულების საფუძველზე, 1 ივლისიდან ამოქმედდა. სასამართლო განიხილავს გენოციდის, ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებს, რომლებიც 2002 წლის 1 ივლისის შემდეგ იქნება ჩადენილი. შეერთებულმა შტატებმა მოითხოვა გაერო-სგან, რომ სასამართლოს კომპეტენცია მშვიდობისმყოფელებზე არ გავრცელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აშშ უარს ამბობს გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მიღებაზე. (Associated Press)

ამერიკელები ზოდის არ იხდიან

შეერთებული შტატების ოფიციალურმა სამხედრო პირებმა უარი განაცხადეს ზოდის მოხდაზე ავღანეთის ერთ-ერთ სოფელში ქორწინების დაბრძანებთან დაკავშირებით. ორშაბათს ამერიკული ბომბდამშენის მიერ ჩამოგდებული ბომბმა, სულ ცოტა, 30 ადამიანი შეიწირა, მათ შორის, ნეფე-პატარბალიც.

ამერიკელების თქმით, თვითმფრინავს დაბინძურებით გაუხსნეს ცეცხლი და ეკიპაჟიც იძულებული იყო, სათანადო

პასუხი გაეცა. ავღანელები აცხადებენ, რომ მექორწინებულ პაირში ისროდნენ, რაც ავღანური ქორწილის ტრადიციაა. ინციდენტმა აიძულა ავღანეთის პრეზიდენტი ქარზაი, ამერიკელი სამხედროებისაგან უფრო ზუსტი დამიზნება და ადგილობრივ მთავრობასთან თავიანთი ოპერაციების მეტი კოორდინირება მოეთხოვა.

ქორწილის დაბრძანების ფაქტმა ადგილობრივი ავღანური მოსახლეობის რისხვა გამოიწვია. მით უმეტეს, რომ

ინციდენტი ყანდაპარის პროვინციაში მოხდა, რომელიც თალიბების რეჟიმის ტრადიციულ დასაყრდენს წარმოადგენს. გუშინ ერთი ამერიკელი დაჭრეს მამში, როდესაც იმ საავადმყოფოში ბრუნდებოდა, სადაც დაბომბვისას დაზარალებულები მკურნალობენ.

ამერიკელების ოპერაცია მიზნად თალიბანის ხელმძღვანელის, მოლა ომარის მოქმედებას ისახავდა. ამერიკულმა ბომბდამშენმა და შეუღლებურენმა შეიღ 800-კილოგრამიანი ბომ-

ბით დაბომბეს გამოქვაბულების კომპლექსი, სადაც მოლა ომარი ევლულობდა. ერთ-ერთმა ბომბმა, ზოგიერთი მონაცემებით, მიზანს ვერ მიაღწია. ჯერ არ არის ცნობილი, სწორედ ეს ბომბი დაეცა თუ არა საქორწინო პროცესისას.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პროვინციაში ამერიკელებმა ჯერ კიდევ იანვარში ჩამოაგდეს ბომბი, რასაც 15 მშვიდობიანი ადამიანის დაღუპვა მოჰყვა.

როორგანიზაცია პალესტინის უშიშროების სისტემაში

პალესტინის ავტონომიის მეთაურმა იასირ არაფატმა თანამდებობიდან გაათავისუფლა მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროს და ლახას სექტორის უშიშროების სამსახურების რამდენიმე ხელმძღვანელი. ეს გადაწყვეტილება უშიშროების სისტემის როგორგანიზაციის ოკეპის ნაწილია.

სამშაბათს არაფატის ბრძანებით თანამდებობიდან გაათავისუფლდა დასავლეთ სანაპიროს უშიშროების სამსახურის უფროსი, პოლკოვნიკი ჯიბ-

რის რაჯოუბი, ლახას სექტორის პოლიციის უფროსი, გენერალი ლაზი ჯაბალი და პალესტინის სამოქალაქო თავდაცვის უფროსი მამდუდ აბუ მარ-ზუჟი. აღსანიშნავია, რომ ჯაბალი ისრაელის სამართალდამცველების მიერ იძებნება ებრაელების დასახლებებზე თავდასხმებთან კავშირის გამო. გასულ კვირას პალესტინის ხელისუფლებამ უშიშროების სამსახურების რეორგანიზაციის და დაშლის კიდევ უფრო დასაშორების ჩამოყალიბების 100-დღიანი პროგრამა და-

იწყო. ეს არის პასუხი აშშ-ს კრიტიკის უფროსი, გენერალი ლაზი ჯაბალი და პალესტინის სამოქალაქო თავდაცვის უფროსი მამდუდ აბუ მარ-ზუჟის წინააღმდეგ ტერორის შეჩერება. გარდა ამისა, ბუშის მხრიდან პალესტინაში ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნის საპასუხოდ, საპრეზიდენტო და საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები მომავალი წლის იანვარში დაინიშნა. ბუში იმდოგნებს, რომ ამით პალესტინაში არაფატის მმართველობა დასრულდება. თუმ-

ცა, ბრიტანული გაზეთის - The Guardian-ისთვის მიცემულ ინტერვიუში არაფატის შესაძლო მემკვიდრედ მიჩნეული მოჰამედ დაჰლანი აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში არაფატის კონკურენტად გამოსვლას არ აპირებს. იგი მიიჩნევს, რომ არსებულ ვითარებაში არჩევნების გზით ხელისუფლებაში ცვლილებები ვერ განხორციელდება და რომ ბუში პალესტინელებს, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალებისკენ უბიძგებს. (Bloomberg)

კავკასიის აზრები

აზერბაიჯანელები ამერიკელი დანხარების სიმსიერას უპირიან

შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტმა გამოაცხადა ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნის მიერ ამერიკისათვის ანტიტერორისტულ ომში განუვლი დახმარების შესახებ. მოხსენებაში ადგილი სამხრეთ კავკასიასაც ეთმობა.

აზერბაიჯანი “შეერთებულ შტატებს დასახმარებლად მსთავაზობს ყველაფერს, თავისი ტერიტორიის თავზე უზრუნველყოფს უსაფრთხო საფრენ დერეფნებს ამერიკული თვითმფრინავებისათვის და მზადაა, თავისი სამხედროები საერთაშორისო კოალიციის სამსახურში ჩააყენოს”.

საქართველოს წვლილი ამერიკის დასახმარებლად მზადყოფნასა და საპაირო დერეფნების უზრუნველყოფაში გამოიხატება. ამავე დროს, მოხსენიებულია “წერთისა და აღჭურვის” პროგრამის ფარგლებში საქართველო-ამერიკის თანამშრომლობა.

სომხეთის ამერიკისადმი განუვლი დახმარება კი უსაფრთხო საპა-

რი დერეფნების უზრუნველყოფით ამოიწურება.

სწორედ ამ ფაქტს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება აზერბაიჯანულმა გაზეთმა “ეხოზ”, რომელმაც ერთმანეთს შეადარა სომხეთის მიერ ამერიკისათვის განუვლი მოკრძალებული სამსახური და ის გულუხვი დახმარება, რომელსაც ამერიკელები ყოველწლიურად უწევენ სომხეთს. მეორეს მხრივ, აზერბაიჯან-ამერიკის სტრატეგიული თანამშრომლობის მოუხედავად, ბოლო ათ წელიწადში ბაქომ ერევანზე 3.5-ჯერ ნაკლები ამერიკული დახმარება მიიღო.

აზერბაიჯანელი პოლიტიკური ანალიტიკოსები ამ უთანასწორობას ამერიკის სომხურ ლობის აბრალეულად და ცდილობენ, საქმე ისე წარმოაჩინონ, თითქოს სომხური ლობის მოღვაწეობა ამერიკის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ზოგადად, აზერბაიჯანის პოლიტიკური ელიტა ოპტიმისტურადაა განწყობილი და ამერიკასთან ურთიერთობაში დისბალანსის შეცვლას მოელოს.

აზერბაიჯანის „ისლამური“ დიკლომატია

ტერორიზმის წინააღმდეგ ომში ამერიკასთან თანამშრომლობის გარდა, აზერბაიჯანის ოფიციალური წრეები თავიანთ მუსლიმ ძმებსაც არ იგნებებენ და ხელს დახმარებისათვის ისლამური საზოგადოების ინფორმაციას.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ვილაიეთ გულიევი ისლამური კონფერენციის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციას დაესწრო სუდანის დედაქალაქ ხარტუმში 25-27 ივლისს.

გულიევი კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა და დაწვრილებით ისაუბრა სომხეთის მიერ ყარაბაღის

ოკუპაციაზე და მილიონამდე დევნილზე, რომლებიც სომხეთთან კონფლიქტის შედეგად უსახლკაროდ დაჩრწნენ. გულიევის დიპლომატიურმა აქტივობამ შედეგი გამოიღო და ისლამური კონფერენციის მინისტრების შეხვედრამ აზერბაიჯანთან დაკავშირებით ერთბაშად სამი დეკლარაცია მიიღო: “აზერბაიჯანის წინააღმდეგ სომხეთის აგრესიის შესახებ”, “აზერბაიჯანისთვის სასწრაფო კონფერენციის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციას დაესწრო სუდანის დედაქალაქ ხარტუმში 25-27 ივლისს.”

გულიევი კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა და დაწვრილებით ისაუბრა სომხეთის მიერ ყარაბაღის

ბაქო-ჭივიანის რალი პარიზი-დაკარივით ტრადიციული ბახდაბა

22 აგვისტოს ბაქოდან სტარტს აიღებს 15 მოტოციკლისტისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც აზერბაიჯანული ნავთობის სავსე კასრის ტურქეთის საპორტო ქალაქ ჯეიჰანამდე ჩაიტანს. რალის “ბაქო-ჯეიჰანის ნავთობის ოდისეა 2002” ეწოდება. რალის მიზანია მსოფლიოს გააცნოს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის აგებისთან დაკავშირებული სოციალურ-ეკოლოგიური საკითხები.

ბაქო-ჯეიჰანის რალი მესამედ ეწეობა. ისევე, როგორც 2000 და 2001 წლებში, მისი ორგანიზატორია ამერიკელი ჟურნალისტი თომას გულიევი. რალის აფინანსებენ აზერბაიჯანისა და საქართველოს ნავთობკომპანიები და თურქული სამშენებლო კომპანია “ბოთასი”.

რალის გზას დაულოცავს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი. რალის დასრულება ჯეიჰანში სპეციალურად აღინიშნება.

ყარაბაღს სომხეთს დაეთმობენ?

აზერბაიჯანულმა გაზეთმა “ეხოზ” დაბეჭდა სომხეთ-აზერბაიჯანის მოლაპარაკებებთან ახლოს მდგომი აზერბაიჯანული წყაროს ინფორმაცია, რომ მთიანი ყარაბაღის სტატუსის თაობაზე შეთანხმება მიღწეულია და ყარაბაღი სომხეთის შემადგენლობაში შევა. გაზეთის ცნობით, ამას დაეთანხმა თურქეთიც.

მეორე გამჟღავნებულმა ცნობამ, რომ ერთი წლის წინ ის და სომხეთის პრეზიდენტი კოჩარაიანი ტერიტორიების გაცვლაზე შეთანხმდნენ, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, რომელიც ალიევი-კოჩარაიანის შეხვედრას მასპინძლობდა, აღშფოთება გამოხატა ალიევის მიერ სომხეთის გამჟღავნების გამო. სომხეთის ოპოზიციურმა პარტიებმა საპარტიოადა მიიჩნიეს, რომ ფრანგებმა ალიევის განცხადება დაადასტურეს. უშიშროების ყოფილმა მინისტრმა, შახნაზარაიანმა სომხეთის პოლიტიკურ პარტიებს მოუხედა, რომ კოჩარაიანს მოლაპარაკების მანდატი ჩამოართვეს. საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა იცოდნენ, რომ “ნებისმიერი შეთანხმება, რომელსაც სომხეთის პრეზიდენტი რობერტ კოჩარაიანთან მიიღებენ, არაფერია, თუ არა შეთანხმება პიროვნებასთან, რომელიც არ წარმოადგენს არც სომხეთს და არც მის მოსახლეობას,” – განაცხადა შახნაზარაიანმა.

ამავე დროს, სომხური წყაროები მიუთითებენ, რომ ჭირები სახმელეთო დერეფნების გაცვლის თაობაზე აბსურდულია. სომხეთს არაფერში ესაჭიროება ლაჩინის დერეფნის მფლობელ დერეფანში “გაცვლა”, რადგან მთლიანად აკონტროლებს ყარაბაღსაც, ლაჩინსაც და კიდევ რამდენიმე აზერბაიჯანულ რაიონსაც.

მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ვენებები ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების გეგმების გარშემო არ ცხრება. სამი კვირის წინ აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ალიევის

ამავე დროს, სომხური წყაროები მიუთითებენ, რომ ჭირები სახმელეთო დერეფნების გაცვლის თაობაზე აბსურდულია. სომხეთს არაფერში ესაჭიროება ლაჩინის დერეფნის მფლობელ დერეფანში “გაცვლა”, რადგან მთლიანად აკონტროლებს ყარაბაღსაც, ლაჩინსაც და კიდევ რამდენიმე აზერბაიჯანულ რაიონსაც.

მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ვენებები ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების გეგმების გარშემო არ ცხრება. სამი კვირის წინ აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ალიევის

სასაბარტლო დარბაზი

ვინ არის დამნაშავე?

ხათუნა ჭანტიაშვილი

ასთინური პერსონოლოგიური აზრობა. ასთინური ფსიქოპატი – ასეთი დიაგნოზი დაუსვეს ფსიქიატრ-ექსპერტებმა მშობლების მკვლელობაში ბრალდებულ არჩილ ძეგველიძეს, რომელიც სასამართლო პროცესზე ერთსა და იმავეს იმეორებს: “არ ვიცი, რამ გადამიბრუნა ტვინი. არ მახსოვს, რა გავაკეთე...”

ექსპერტ-ფსიქიატრმა, რომელიც გუშინდელ პროცესზე განსასჯელის ადვოკატების მოთხოვნით დაიკითხა, ბრალდებულზე ჩატარებული გამოკვლევის დიაგნოზი განმარტა და სასამართლოს აუხსნა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ძეგველიძეს შეეძლო, საკუთარი თავისთვის კონტროლი გაენიშა.

“მართალია, არჩილ ძეგველიძეს ფსიქიკური ნაკლი გააჩნია, რაც მის იმპულსურობაში, ოპოზიციურობასა და ადვილად აღზვნიებალობაში გამოიხატება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი ფსიქიკური ნაკლის ადამიანი ვერ აცნობიერებდეს, რას აკეთებს,” – განაცხადა მონშე-ექსპერტმა, რომელმაც დედ-მამის მკვლელობაში ბრალ-

დებულის შერაცხალობა დაასაბუთა და ფსიქიკური შეშლილობის ეჭვი მოსპო. მისი განმარტებით, ფსიქიკურ ნაკლი ივლისისმება ვენების გამოვლინება, ქცევითა და მოქმედების პათოლოგია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ გრძელდება და რომლის დროსაც ადამიანს შეუძლია საკუთარი თავის კონტროლი.

“ძეგველიძის საქმე კარგად მაქვს შესწავლილი, ისევე, როგორც თავად განსასჯელის ფსიქოლოგია. მას წლების განმავლობაში დაუგროვდა მამის მიმართ აგრესია, რადგან დათრგუნულად გრძობდა თავს წერილმანებზე სერიოზული შენიშვნების, ცემის, დატყუებისა და სიმკაცრის გამო. გარდატეხის ასაკში ბავშვები, განსაკუთრებით ბიჭები, მძიმედ განიცდიან ამ ყველაფერს,” – განუცხადა სასამართლოს მონშედ დაიკითხულმა ექსპერტმა.

გუშინ კიდევ რამდენიმე მონშე დაიკითხა, რომლებიც განსასჯელის მამას კარგად იცნობდნენ. მათი თქმით, ვაჟა ძეგველიძე მშვიდი, განოხანსწორებული ადამიანი იყო. “სულ ცოლ-შვილზე ლაპარაკობდა, ოჯახი არანორმალურად უყვარდა და დღეში რამდენჯერმე რეკავდა სახლში,

რომ გაეგო, როგორ იყვნენ, რამე პრობლემა ხომ არ ჰქონდათ. საერთოდ, ოჯახზე გადაყოლილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ურთიერთობაში მორიდებული, ზედმეტად მონერვილებული და პუნქტუალური იყო. მის ოჯახში არ ვყოფილვართ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავით, რომ გადასარევი, ტკბილი, მოსიყვარულე ოჯახი ჰქონდა”, – ასე ახასიათებდნენ გუშინ საკუთარი სანადირო თოფით მოკლულ, შემდეგ ოთხი დღის განმავლობაში ქვეშით სავსე ტახტში ჩამარხულ ვაჟა ძეგველიძეს ნაცნობები და თანამშრომლები.

რაც ყველაზე საინტერესოა, მონშედ დაიკითხულმა, განსასჯელის მამიდებმა სულ სხვადასხვაგვარი, ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები მისცეს სასამართლო გამოძიებას. ერთი მამიდა მომხდარიმ გარდაცვლილების შვილებს – ნინო და აჩიკო ძეგველიძეებს ერთნაირად აღანაშაულებს და თვლის, რომ და, ძმის მსგავსად, ახლა რკინის გალიაში უნდა იჯდეს. მეორე მამიდა კი მოსამართლეს განსასჯელის შებრალეებს სთხოვს, გარდაცვლილ ძმას და რძალს შვილებთან განსაკუთრებით სასტიკ მოპყ-

რობაში ამხელს და მომხდარიმ მათ აღანაშაულებს:

"თეატრი ელიტარული ხელოვნებაა. რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენს თეატრს ერთგული ერთეულები მაინც უყვლება. უკვე ხელისუქებატალი გვაქვს რეპერტუარში არ გვაყვას საქუთარი მასურებელი... 1969 წელს მოვიდა თაობა, საიდანაც დღემდე ორი ერთეული ადამიანი შემორჩა - კირა მეტუქე და გოგა ოსეფაშვილი... პრეზიდენტმა უშუალოდ გააფრთხილა ქალაქის მერი, რომ ჩვენთვის დაგანახება არ შეეწყვიტა. ზოდელავამ კი, რაც გვეორნდა, ისიც ჩამოგვაჭრა... მაგინდაზე ფაქსი მიდევს, რომელიც პოლანდიდან და ჩეხეთიდან მივიღე. შესაძლოა, გასტროლებზე ჩვენი თეატრიც წავიდეს, მაგრამ ფულის შოვნა გავიჭირებდა. ჩვენ არა გვაქვს ფული, გვაქვს ცუდი შენიბა, მაგრამ გვესის ხელოვნების ფასი... მე ვიცი, რასაც ვითხოვ, მე მათხოვარი არა ვარ, მე ლევენდა ვარ..."

დრო გრიმს იცვლის და ფირნიშით ახალ ახალი ნოველების სახელწოდებებს გვაცნობს: "ვენახი", "რეკვიემი", "პეპელა", "ბუშტი", "გრძობა", "ფანტაზია", "ძალოსნები" და ბოლოს "სინემა", რითაც წარმოდგენა მთავრდება. ნოველებს სახიერი და მარტივად მნიშვნელოვანი ფორმა აქვთ. მაგალითად "ვენახი" ყურმნით დახუნძლული რთივების მეტაფორაა, რომელშიც გლეხკაცის გარჯას მონდომებული ოპტიმიზმს შეაგვიტევენ. ყურმნის კრეფა თანდათან გადაადის სანახავლის სცენაში, ღვიწხის დაწურვაში, შემდეგ კი საქორწინლო ლხინში. ამ ყველაფერს კი ბავშვის დაბადება აგვირგვინებს. მოკლედ ცხოვრება მშვენიერია, მაგრამ რთულიც. "რეკვიემი" ძაბებში მოხილი ქალის მუხსიერების გაცოცხლებაა. იგი დალულულ მეომრებს იხსე-

ნებს, რომლებიც სიმბოლურად ჯერებს გამოსხატავენ, შემდეგ მეომრებს და ბოლოს საფლავის ქვებად იქცევიან.

"ძალოსნები" ერთდროულად გაგახსენებთ პაროდებს 30-იან წლებში კინოზე და ვინძლო მულტფილმსაც ნაცნობი სახელწოდებით "აბა, დამაცადე". შტანგის დაღვევაში ერთმანეთს ორი "კონტრასტული" ახალგაზრდა ეჯობება, თუმცა, მცირემსპობიანი აშკარად ჯაბნის დაკუნთულისა და ტრაბახას. მოკლედ, როგორც ექსცენტრიკულ კომედიებშია ხოლმე. ამ ფონზე მიმოიხილულა "მოგონება" სენტიმენტალურ და ლირიულ "გადაზრად" აღიქმება. ქალი და მამაკაცი ნიღბებში დიდხანს არკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობებს, თუმცა კლასიკური და ნაეტახილიანი პანტომიმური შესტები მათ გრძობებს ბოლომდე

ვერ აცოცხლებს.

ნოველები "პეპელა" და "ბუშტი" ქართულ მოკლემეტრაჟიან ფილმებს გაგონებთ. ექსცენტრიკული, მსუბუქი, ცოტა ფილოსოფიური და ცოტაც ქარაფუტული, მაგრამ ორივე ნოველის სიცოცხლისუნარიანი და თითქმის უცნაური ლირიზმი როგორღაც აცოცხლებს.


სექტაკლის ყველაზე სახასიათო და სრულყოფილი ნოველაა "ქალის გატაცება", სადაც ყაბალახიანი გურული მტანჯველი გროტესკულიობით ცდლობენ ქალის გატაცებას. თუმცა საბოლოოდ ქალი იმარჯვებს და მოუხერხებელ გამტაცებლებს პირდაღებულებს ტოვებს. "კონტრასტებს" აგვირგვინებს ჩარლი ჩაპლინის ფილმების თემაზე შექმნილი "სინემა". მუნჯი კინოს ექსცენტრიკულიობა ცულად არ ერთობება თავად ჩაპლინის პერსონას (ამ

როლს თავად გოგა ოსეფაშვილი ასრულებს, ჩარლის საფირმო ტროსტითა და აშკარად დიდი ზომის ფეხსაცმლით). გამოყენებული მუსიკალური თემები ნენტიმეტალურ გუნებაზე გაყვნიების და თეატრისათვის ბედნიერ 70-იან წლებს გახსნებთ, როცა იგი "ხასტოს" დროის ფავორიტი იყო.

"ხასტოი" შემთხვევით არ გაგვხსენებია. იყო დრო, როდესაც შალიკაშვილის მელოცივით გამამაცებული მიმები ხან ბრეფენის "მცირე მინას" ანსახიერებდნენ (მარკ ბერნესის თანხლებით), ხანაც ტანჯულ "ფირროსმანს". მაგრამ ეს გარდასული დღეების უამი იყო, რომელიც დღეს მხოლოდ პანტომიმის ფანების მესხიერებასა და ცუდი ხარისხის ფირებს შემორჩა.

დაღლილი პანტომიმის ფანრი აშკარად საჭიროებს სისხლის გადასხ-

მას, რადგან ნებისმიერი დღევანდელი პრემიერა ძველი გამობახილის სუსტ ექოდ აღიქმება. თუმცა, შალიკაშვილს არც ის უნდა დაუფენიყთ, რომ მის მიერ შექმნილი პანტომიმური თეატრი არსებობას განაგრძობს. თანამედროვე ცეკვამ და "ფიზიკურმა თეატრმა" კი ნატები შაქარყინულიებით დაიტაცა და შეირგო პანტომიმის ელემენტები. თუმცა, მთელს მსოფლიოში ფანრი ან სექტანტობისთვისაა განწირული ან რადიკალური გარდაქმნებისათვის. დღევანდელი საპრემიერო და "მეტყველი" მიმეზისი კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შალიკაშვილი ჯერ კიდევ გარდასული დღეების არდალის ქვეყანაშია. მისი აღზრდლები კი "სინესტეს მონაფეხივით" დახეტებან. ზოგი გერმანიაშია და ზოგიც ამერიკაში, ჩანს, ქართული პანტომიმური იდეების საქადაგოდ.



ამირან ბაქრაშვილი



სვენა სექტაკლიდან

ილია ლომოვისი ფოტო

პოპულარული კომიქსების სერია, ზესაძლოა, წარუმატებელი აღმოჩნდეს

გუმინ "ადამიანები შავებში-2"-ის მსოფლიო პრემიერა გაიმართა



უილ სმიტი და ტომი ლი ჯონსი ფილმის პრემიერაზე

REUTERS

თამარ სანიშვილი
"ადამიანები შავებში"-2002, რეჟ: ბარი ზონენფელდი, სცენ. ავტ: რობერტ გორდონი და ბარი ფანარო, ოპ: გრეგ გარდნერი, კომპ: დენი ელფმანი. მთავარ როლებში: ტომი ლი ჯონსი, უილ სმიტი.

გუმინდელ მსოფლიო პრემიერას არც ჩვენი დედაქალაქი ჩამორჩა. 3 ივლისს "ადამიანები შავებში-2" უკვე მთელი დედაქალაქის ზურგზე მცხოვრებმა უამრავმა ადამიანმა ნახა. ეს არის გაგრძელება 1997 წლის ფილმისა - "ადამიანები შავებში" და მას საფუძვლად პოპულარული კომიქსების სერია უდევს. თავის დროზე კომპანია "სონი" ეს ფილმი 2001 წლის პერსპექტიული პროექტების სიაში შეიტანა, მაგრამ მაშინვე ითქვა ისიც, რომ შეიძლება ფილმის კერძოებზე გამოსვლა დაგვიანებულიყო და ასეც მოხდა.

პოპულარული ფილმის გაგრძელებას ერთობ ბანალური სახელი ჰქვია "ადამიანები შავებში-2", თუმცა ფილმის სახელწოდების შერჩევისას სხვა (მაგრამ არა დიდად განსხვავებული) ვარიანტებზეც იყო საუბარი, მაგალითად, "ლუდი შავებში". ისიც უნდა ითქვას, რომ თავიდან ტომი ლი ჯონსი ფილმის მონაწილე არ იყარა უდებოდა, მას გვარიანი მადა აღმოაჩნდა და დიდი ჰონორარი - 15 მილიონი დოლარი მოითხოვა. ამხელა თანხის ერთი მსახიობისთვის გადახდა უზარმაზარ ტვირთად დაანგებოდა

ფილმის ბიუჯეტს, მრავალრიცხოვან სპეცეფექტებზე ხომ ისედაც დიდძალი ფული დაიხარჯა. ვერ გეტყვით, რა თანხაზე შეთანხმდნენ საბოლოოდ ჯონსი და ფილმის პროდუსერი, მაგრამ ერთი კი ცხადია, ტომი ლი ჯონსი უილ სმიტთან ერთად ფილმში მთავარ როლს თამაშობს. არჩევანი სწორია - მსახიობთა ძველი დუეტის შენარჩუნება ახალ ფილმშიც აუცილებელი იყო. ასე რომ, კეი და ჯეი კლავე ერთად არიან, ეს ფილმის ძირითადი მიზანია.

ამ ხუთი წლის განმავლობაში კეი და ჯეი თითქმის არ შეცვლილან და არც საკუთარი სტილისთვის უღალატა. ფილმის გმირები მოდის სიახლეებს არ ცნობენ და ისე ძველებურ დედამინასა და სხვა პლანეტებს ზედამხედველობს. სურათი გვიამბობს უცხოზღანეულთა შემოჭრის შესახებ დედამინაზე და მოქმედების დიდი ნაწილი ღია კოსმოსში ხდება.

მეორე ფილმის შემქმნელებმა თითქოს კარგად იცოდნენ, რაზე გაეკეთებინათ აქცენტი, როგორ უნდა გაეგრძელებინათ ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნოდ საყურებელი კომედია, რომელიც მარტო სასაცილო კი არა, საოცრად გონებამახვილოც იყო და მაყურებლისთვის ნამდვილ სიურპრიზს წარმოადგენდა. უილ სმიტმა ერთ-ერთ ინტერვიუში მეორე

ფილმის სცენარს "ბრწყინვალე სცენარიც" კი უწოდა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მისი გეგმონება საგრძობლად განსხვავდება კინორიტეიკოსთა გეგმონებისგან, რომელთა ერთი კი ცხადია, აღნიშნულ ფილმის წარუმატებლობა და განაცხადეს: მიუხედავად დიდი ფინანსური ხარჯებისა, ახალმა ფილმმა იმედი გაგვიტრუა, ფილმის შემქმნელებმა რაღაც შეცდომა დაუშვეს, ფილმის ბალანსი დირღვა. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ, მართალია, ფილმში ბევრი იუმორია, მაგრამ მასში დაიკარგა ის, რაც პირველ ფილმში საინტერესო და ორიგინალური იყო. თუმცა კინომომხილველებმა მსახიობებს დამსახურება არ დაუკარგეს, ისინი ნამდვილად კარგად თამაშობენ.

ვერც იმას იტყვის კაცი, რომ ყველაფერში სცენარს მიუძღვის ბრალი. სცენარისტი ხომ რობერტ გორდონია, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად ფილმისათვის "თავგადასავალი გალაქტიკაში" (Galaxy Quest) და რომელზეც პოლიფუნდში დიდი მოთხოვნილებაა. მაგრამ ფაქტი ერთია: არაფერი განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი ფილმში არ ხდება. შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორმა ბარი ზონენფელდმა კრიტიკოსებზე ბევრად უფრო ადრე განცხადებულა, რომელიც ფილმის წარუმატებლობა, როდესაც თიხი წლის წინ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ არ სურდა შავებში ჩაცმული ადამიანების კიდევ ერთ

თხელ გადაღება, რომ ეს სტუდიას უნდოდა. ფილმში ყველაფერი ნაცნობია, პერსონაჟები, ადგილები, არც სპეცეფექტებშია სიახლე. მაყურებელს კი, კეისაგან განსხვავებით, მესხიერება არ დაუკარგავს და პირველი ფილმის შთაბეჭდილებები ჯერ კიდევ ცოცხლად შემოუნახავს.

ფილმის ძირითადი ნაწილი უწყინარია, ძნელად დასამახსოვრებელი და, შეიძლება ითქვას, უინტერესოა; თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს ფილმი ისეთ აღიარებულ ფილმებთან ერთად გამოვიდა, როგორცაა "ადამიანი-ობობა" და "უმცირესობის აზრი". კრიტიკოსების აზრით, უილ სმიტის მუსიკალურმა ნომერმა "გაქნიე თავი" თვით გონებაშეხილვით ფინალიც კი გააფუჭა, თუმცა, ეს ნომერი აუცილებლად იქცევა ახალგაზრდების ჰიმნად. ახალ ფილმში ახალი ზორტმოქმედი პერსონაჟიც შემოდის, გალაქტიკის მკვიდრი ქალი სერლეენა, რომელსაც ლარა ფლიზ ბოილი თამაშობს და ფილმშიც ამ გმირით ფერმკრთალი, განუვითარებელი, ზედაპირული და თვითკმაყოფილია.

ფილმის რეიტინგია PG-13, ეს იმითომ, რომ ფილმში არის პროვოკაციული, იუმორისტული და ძალადობის სცენები და ისეთი გროტესკული პერსონაჟებიც, რომლებმაც, შესაძლოა, ბავშვები დააფრთხონ.

თუმცა, კრიტიკოსები ყოველთვის მკაცრი არიან, მაყურებელს კი ფილმი ჯერ არ შეუფახებია.

მსოფლიო ჯაზის საოცრება თბილისში

პირა ნაფარიძე

კრიტიკოსებისგან "სამყაროს განხად" შეფასებული ელ ჯეროს ვოკალი გუმინ ცოცხლად თბილისელებმაც მოისმინეს. სანავთობო კომპანია "ლუკოილის" წყალობით, თბილისის ჯაზ-ფესტივალი უდიდესი ამერიკელი ჯაზმენის ეროპული ტურნეს განრიგში მოხვდა.

სხვანაირად არც იქნებოდა. ელ ჯეროს თბილისში აუცილებლად დახვდებოდა ფილარმონიის სახელმძღვანელო. მისი მიმდებარე ტერიტორია კი, გადაიჭედებოდა AAA ნომრისა და უკანასკნელი მოდელის ავტომანქანებით. ერთადერთი გაუთვალისწინებელი უსიამოვნება თავად მუსიკოსს შეემთხვა. მისი ჩამოსვლა რუმინეთის პრეზიდენტის საქართველოდან გაფრენას დაემთხვა, რის გამოც ჯაზ-ვარსკვლავს მოსკოვიდან ორი საათით დაავიანდა. შედეგად, გადადილობა მუსიკოსმა უარი თქვა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე და თვით ავტოგრაფების გაცემაც კი...

კონცერტი დიდ საკონცერტო დარბაზში ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო. ამ უსიამოვნებას ერთადერთი უპირატესობა ჰქონდა (რამდენადაც შეიძლება ამას უპირატესობა დაარქვას): ამ ხნის განმავლობაში ფილარმონიის სტუმართა მიხედვით, სრული შთაბეჭდილება შეგექმნებოდა ჯაზის მსმენელთა თბილისურ კასტაზე. არც პარლამენტარია, არც მისი ერთ დარჩენილ პოლიტიკოსთა და, ბუნებრივია, არც პოპულარული ადამიანების (გოგოლა კალანდაძე, ეკა კახიანი), მითუმატეს, მომღერლების ("უცნობი", მერაბ სეფაშვილი, დათო გომართელი, აჩიკო გულდანი) ფილარმონიაში მოსვლას არაფერი გაუოცებია. მე, პირადად, ფილარმონიაში გამართულ სამივე (ტანია მარია, ბობ მინცერი და ელ ჯერო) კონცერტზე სასიამოვნო უცნაურობად მომხვდა თვალში ბავშვების სიმრავლე. ფოიეში ნაძაღვევი ლოდინისა და ასევე ნაძაღვევი, "სასტაგების" თვალყურის შემდეგ, ფილარმონიაში ისტორიული კონცერტი დაიწყო: დიდი საკონცერტო დარბაზის სცენა ელ ჯერომ შეიდაკაცთან ბენდთან ერთად დაიკავა.

სცენაზე იდგა ნამდვილი პროფესიონალი, რამაც, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ მუსიკალური ჯილდოების რაოდენობას თუ კრიტიკოსების მეტაფორების სიმრავლეს. გუმინ კიდევ ერთხელ დაავადსტურე ჩემთვის, რომ ნამდვილი ვარსკვლავი სცენაზე პირველივე ნუთებიდან შეიცნობა. თუკი მოვცემა შანსი, ცოცხლად მოუსმინო თანამედროვე ჯაზის ერთ-ერთ ლეგენდას, ელ ჯეროს, უნდა გაითვალისწინო, რომ სცენის ვარსკვლავს, თუნდაც აბსოლუტურად უცნობ საზოგადოებაში, ადაპტაციისთვის (ე.წ. "გასახურებლად") დრო არ სჭირდება.

იგი ერთნაირად ფლობს ვოკალით როგორც სხვადასხვა ინსტრუმენტების ფლერადობის გამოცემის ხელოვნებას, ისე პუბლიკის აყვანის ოსტატობას. 62 წლის მუ-

სიკოს ისევე არ ეტყობა დალდა საათნახვერის განმავლობაში (დაახლოებით, ეს დრო გაგრძელდა კონცერტი ფილარმონიაში), როგორც ასაკი.

ელ ჯერო შესანიშნავ ფორმაშია. მისი ევროპულ-ამერიკული კონცერტების სერია ივლისში დაიწყო და ნოემბრის პირველ რიცხვებამდე გაგრძელდება. თბილისის შემდეგ, ექვს ივლისს ელ ჯერო გერმანიაში, "თოლუდის" ფესტივალზე გამოვა.

ჯაზის ვარსკვლავის ასეთი დაულალავი შრომა, ერთის მხრივ, მისი მუსიკალურ ასპარეზზე "დაგვიანებული" გამოსვლითაც აისხნება. იმის მუხედავად, რომ ელ ჯერომ სიმღერა ძმებთან ერთად ოთხი წლიდან, მილუოკის (ვისკონსინის შტატი) ერთ-ერთი ეკლესიის მგალობელთა გუნდში დაიწყო, მუსიკალური კარიერა ოცდათუთმეტი წლის ასაკში გაიკეთა. ადრე იგი ერთი ჩვეულებრივი, შემოქმედებითი იდეებით ატანილი ბიჭუნა იყო, ამერიკის პროვინციიდან. ჰყავდა ტრო, რომელიც ღამის კლუბებში გამოდიოდა. ელ ჯეროს თავისებური ხასიათის გამო პროდუქტები ვერ რისკავდნენ ჯგუფთან სეროზული საქმიანი ურთიერთობის დაწყებას. ვიდრე Reprise-მა არ გარისკა, რისი წყალობითაც ელ ჯეროს პირველი დისკო გამოვიდა. სამ-ოთხ წელიწადში ჯერომ იმდენი მიღწევა, რაზეც განვლილი ოცდაათი წლის განმავლობაში არც უოცნებია; გადაჭედებით დარბაზები, დიდი რაოდენობით გაყიდული ჩანაწერები სხვა ვარსკვლავების მსგავსად, ელ ჯეროს მუსიკალური მოღვაწეობის განუყოფელი ნაწილი გახდა. თავიდანვე მსმენელი ელ ჯეროს ნიჭმა განაცვიფრა: მუსიკოსს ნებისმიერი ინსტრუმენტის ფლერადობის გამოცემა შეეძლო ხმით. ნუხელ ეს ყველაფერი თბილისელმა მსმენელმაც ცოცხლად მოისმინა. ელ ჯერო ერთადერთი ვოკალისტია მსოფლიო მუსიკის ისტორიაში, რომელმაც მუსიკის სამ ფუნდში (ჯაზი, პოპი და R&B) 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ხუთი გრემი აიღო.

ელ ჯერო თბილისში ევროპული ტურნეს შემადგენლობით, შეიდაკაცთან ბენდთან ერთად ჩამოვიდა. დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე განუმეორებელი ფლერადობა ლევი ვილიამსის (ქიბორდი), ჯო ტურანოს (საქსოფონი), როს ბოლტონის (გიტარა), ქრის ვოლკერის (ბასი), არნო ლუკასისა (პერკუსია) და დრამერის, ჯოტა მორელის დამსახურება იყო. ბეე-ვოკალში კი, ჯაზის ვირტუოზს დები დევისი ეხმარებოდა. "მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდებული პუნებრივი რესურსი", "ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ამაღლებული შემსრულებელი", "მრავალმხრივი ხმა" - სხვა უამრავი თანად ამ ეპითეტებით ელ ჯერო დასავლურმა პრესამ შეამკო. თბილისელ კრიტიკოსებს კი, მელომანებთან ერთად, ჯერ-ჯერობით უჭირთ საკუთარი აზრის ხატოვნად გამოთქმა: ისინი დაუფინყარი შთაბეჭდილების ქვეშ არიან.

3 ივლისი (21.00) კლუბი „პრი“. **„რასტაპეკონიანი, წარმოგიძვანთ ახალა აზირანაშვილის ბანდი (აშშ) ბობ მინცერის კვარტალი (აშშ)**

4 ივლისი (21.00) კლუბი „პრი“. **„ნესაჟა, წარმოგიძვანთ იგორ ხრილი და მია ბარათაშვილი (რასეთი, საქართველო) 22.00 დანი როლინგის „ბადიონა ენდ კომპანი, (დირი ბრიტანეთი)**

5 ივლისი (21.00) - კლუბი „პრი“. **„ქანტი, წარმოგიძვანთ ჯაზ-კვარტალი (სომხეთი) ახალა აზირანაშვილის ბანდი (საქართველო) ალფრედ „პი“ ვი, ელისის ანსამბლი (აშშ)**

თბილისის **მე-6** საერთაშორისო **კაზი** - ფანჯარის პროგრამა

მინი-ფეხბურთი

თბილისში მოსკოვის "სპარტაკი" ჩამოვა

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის სპორტის სასახლეში 26-28 ივლისს გაიმართება საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელშიც, საქართველოს ნაკრების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ჩემპიონი მინი-ფეხბურთში მოსკოვის "სპარტაკი", აზერბაიჯანის ნაკრები და ყაზახეთის ჩემპიონი. თამაშები უფუფასო მიერ დადგენილი მინი-ფეხბურთის წესებით წარიმართება. ტურნირის ჩატარდება წრიული სისტემით და გამარჯვებულის გამოსავლენად მსხვილი-ოფთები არ გაიმართება. ტურნირის ორგანიზატორია საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაცია.

აღმათ, ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ ნებისმიერი რანგის საერთაშორისო ტურნირი რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნისთვის დადებითი იმიჯის შექმნაში. მით უმეტეს, თუ საქმე ეხება სპორტის ამ სახეობას – მინი-ფეხბურთს, რომელიც მთელ მსოფლიოში სულ უფრო და უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს. ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერის განცხადებით, იგი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მინი-ფეხბურთი სპორტის ოლიმპიურ სახეობად ცნორ.

თუმცა, ასეთი ტურნირების მასპინძლობა გარკვეულ პრობლემებთან, უფრო ზუსტად, დაფინანსებასთან არის დაკავშირებული. საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაციას, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან შედარებით, საგრძობად მწირი მატერიალური შესაძლებლობები აქვს. რომ არა ამ ასოციაციის დამაარსებლისა და პრეზიდენტის გურამ დურგლიძის დახმარება, დღეს საქართველოში არც მინი-ფეხბურთის ლიგა გვექნებოდა, არც რეგულარული ჩემპიონატი ჩატარდებოდა და ვერც ჩვენი კლუბები და ნაკრებები მიიღებდნენ მონაწილეობას ევროპული ტურნირებში. ერთი დამახასიათებელი დეტალი: 1995 წელს საქართველოს მინი-ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად იტალიაში უნდა გამგზავრებული-

ჟორდანია კიდევ ერთი სასამართლო ელის

24 აგვისტოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. პრეზიდენტობის სამი კანდიდატი წინასაარჩევნო ბრძოლას ანარმობებს. მოქმედი პრეზიდენტის მერაბ ჟორდანია თაოსნობით, ფედერაციის აღმასკომმა ბავშვთა ფეხბურთის წარმომადგენელთა სამი საარჩევნო ხმა გააუქმა. გუშინ პრესკონფერენცია გამართა პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით პეტრიაშვილმა, რომელმაც სწორედ ამ საკითხზე ისაუბრა და ჟურნალისტებს პრეს-რელიზიც გააცნო.

დიდუბე-ჩულურეთის სასამართლოში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით პეტრიაშვილმა. იგი მოითხოვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2002 წლის 24 ივნისის აღმასკომის სხდომის დადგენილებების იმ ნაწილის გაუქმებას, რომელითაც ბავშვთა საფეხბურთო სკოლების მიერ წარდგენილ დელეგატებს შეეზღუდათ ფედერაციის მეთაურთა კრიტიკაში მონაწილეობა. პრეს-რელიზში ნათქვამია: "სარჩელი ეყრდნობა მთელ რიგ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ კანონის დარღვევებს სფფ-ს მოქმედი პრეზიდენტისა და მისი ინტერესების გამტარებელი აღმასკომის წევრების მხრიდან. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, როდესაც მერაბ ჟორდანია ყველა ღონეს (მათ შორის - უკანონო ქმედებებს) მიმართავს მომავალ არჩევნებში გასამარჯვებლად. პეტრიაშვილისა და მისი შტაბის აზრით, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ბოლო ორი სხდომა დიდი დარღვევებით ჩატარდა. დადგენილებები სრულიად უკანონოდ ანიჭებენ ყრილობის დელეგატთა სტატუსს აბსოლუტურად შეუფერებელ ადამიანებს და, პირიქით, ართმევენ საარჩევნო ხმის უფლებას იმ პიროვნებებს, რომელთაც სამართლებრივად აქვთ ეს უფლება მიღებული. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იურიდიული პირია და ქვეყნის ავტონომიური რესპუბლიკების, რეგიონული, საქალაქო და რაიონული ფეხბურთის ფედერაციების კავშირს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ კავ-

შირის წევრთა საერთო გადაწყვეტილების მიღებაში სწორედ კავშირის წევრები და არა გარეშე პირები იღებენ მონაწილეობას. ყოველი წევრი ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე უნდა წარსდგეს მხოლოდ ერთი დელეგატით. ამ კანონის დარღვევის მაგალითია ის, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე "ვეტრან ფეხბურთის" კავშირი წარდგენილია 5 დელეგატით, "სპორტულ ჟურნალისტთა კავშირი" კი - ორით. ფედერაციის აღმასკომის წევრები და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეც ყრილობის მიერ არჩეული პირები არიან. შესაბამისად, ისინი არ წარმოადგენენ ფედერაციის წევრ სტატუსს და, სამოქალაქო კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, ყრილობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას არ უნდა იღებდნენ. კანონის მიხედვით, პეტრიაშვილის შტაბი მათთვის დელეგატის სტატუსის გაუქმებას მოითხოვს. 2002 წლის 24 ივნისის სხდომა სკანდალური გამოდგა. ჟორდანია თაოსნობით აღმასკომმა გადაწყვეტილება მიიღო და არ სცნო ბავშვთა საფეხბურთო სკოლების საერთო კონფერენციის მიერ არჩეული დელეგატების გიორგი (ბუბა) ტყავაძის, რევაზ გაგუას, ზურაბ თოფურიას, მერაბ ვანიძისა და ზვიად შერმანის უფლებამოსილება. დავით პეტრიაშვილის აზრით, ეს დარღვევა მრავლისმეტყველია. "ეს არაკანონური გადაწყვეტილება იყო. ეს თავად ფედერაციაშიც კარგად იციან. ჟორდანია კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი პერსონის აბსოლუტური შესაბამისობა დაკავებული თანამდებობის აზრით. იგი უხეშად ლახავს ეროვნული ფეხბურთის ინტერესებს" (სტილი დაცულია - რედ.).

კვირას დავით პეტრიაშვილი ნიონში მდებარე უფფს შტაბ-ბინაში მიემგზავრება. შედგება უფფს ჩემპიონთა ლიგის დირექტორთა შეკრება. "ნიონში 7-მი მიემგზავრები. 8-9 ივლისს ჩატარდება უფფს ჩემპიონთა ლიგის დირექტორთა შეკრება, რომელსაც მეც დავესწრები. მე ვახლავარ დირექტორთა 5-კაციანი საბჭოს წევრი. ჩვენს მოვალეობაში შემონარების ჩატარებაც შედის. ჩემი პირობითი ფეხბურთის ფედერაციების კავშირს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ კავ-



დავით პეტრიაშვილი

ობს. დაგეგმილი მაქვს ორი მნიშვნელოვანი შეხვედრა. 10-ში, უფფს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დასრულების შემდეგ, აღმასკომის წევრებს უნდა შევხვედ. შემდეგ კი დაგეგმილია ჩემი შეხვედრა უფფს-ს გენერალურ მდივანთან გურპარდ აიგნერთან, რომელთანაც დასაწყისში აიღებს სტარტს და ამისთვის მზადება უკვე მიმდინარე-

აიგნერი, არც იუჰანსონი და არც სხვები, არავითარ შემთხვევაში, არ ჩაგრებიან საქართველოს ფეხბურთის საქმეებში. უფფს ერთადერთი მოთხოვნა გახლავთ ის, რომ ყველაფერი კანონის მიხედვით ჩატარდეს. სწორედ ამ კანონის იმედი მაქვს და სარჩელიც ამიტომ შევტანეთ. ფედერაციამ უკანონო გადაწყვეტილებები მიიღო."

ფეხბურთი

სადრანსფარო ცნობ-ცხელაბა განახლდა

ბევრი ექსპერტის აზრით, ზუან რამონ რიკელმე საუკეთესო მსოფლიო ჩემპიონატს მიღმა დარჩენილ ფეხბურთელებს შორის. არგენტინის ნაკრების მწვანედა მარსელო ბიელსამ

ონთა ლიგის რეკორდსმენის, რუმინელი კრისტიან ჩივუს გადაბირებას ცდილობს ამსტერდამის "აიჟსიდან". მადრიდლები ბრაზილიელი რონალდინიოც დაინტერესდნენ.



ვერონი და კილი გონსალესი

"პოკა ხუნიორის" 24 წლის ნახევარმცველი ტურნირზე გამგზავრებული 23 ფეხბურთელის სიაში არ შეიყვანა. ბევრი ფურის შემდეგ ესაზღვრება "ბარსელონა" არგენტინელს შექმნა გადამწყვეტად "პოკა ხუნიორისთან" წინასწარ შეთანხმებასაც მიიღწია. კლუბებს შორის უკვე შედგა მოლაპარაკება სპონსორული თანხის შესახებ. ერთადერთი დაბრკობადა თვითონ რიკელმეა, რომელიც ბარსელონაში გადაარჩენაზე ვერ კიდევ ყოყმანობს. როგორც ჩანს, კატალიონური კლუბი არგენტინელი ფეხბურთელების ხარჯზე აპირებს ძველი დიდების დაბრუნებას და რიკელმესთან ერთად "ვალენსიელი" კილი გონსალესის გადაბირებასაც გეგმავს. ამ უკანასკნელი თვის დროზე მილანის "ინტერიც" დაინტერესდა, თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატზე მისი სუსტი თამაშის გამო იტალიელებმა გადაიწყვიტეს "ბარსას" მოსისხლე მტერი" მადრიდის "რეალი" კლავ ცდილობს, როგორმე გააძლიეროს თავისი დაცვის ცენტრი. ახლო წარსულში მადრიდელებმა ლუსიოს, ნესტას და პეტრედეტის შექმნა სცადეს, თუმცა, არც ერთი ტრანსფერი არ შედგა. ახლა კი ჩემპი-

ტრიუმფალური დაბრუნების ქრონიკა

მასის ბოლოს აზიაში ერთ-ერთი ფავორიტის რანგში წასული ბრაზილიის ნაკრები ივლისის დასაწყისში სამშობლოში ტრიუმფალურად დაბრუნდა. მთელი ბრაზილია მოუთმენლად ელოდა "სელესოს" ჩასვლას, ყველას სურ-

იდან მომავალი თვითმფრინავი ადგილობრივი დროით დღის ათ საათზე ქალაქ ბრაზილიის აეროპორტში დაემგზავნა "ზღვარგადასული ზეიმიც დაიწყო. ფეხბურთელები, გვეგმის მიხედვით, პირველად ქვეყნის პრეზიდენტს ფერ-

არის, რომ კაფუ, რონალდო, რობერტო კარლოსი, დიდა, რივალდო და დენილსონი, როგორც გასული მუნდიალების ფინალისტები, უკვე არიან ამ ორდენის მფლობელები. ამიტომაც ამჯერად ისინი უმეტესად დარჩნენ.

"ფენომენად" წოდებული რონალდო, რომელიც მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ასე მალე დააღწედა თავს ეიფორიას და მაშინვე კლუბის შეცვლაზე ალაპარაკებოდა? რონალდოს იმდენად აუვარდა თავ-



და, შორიდან მაინც შეეგლო თვალს იოცდამეერთე საუკუნის პირველი მუნდიალის გამგებრებისთვის. ამიტომაც ბრაზილიის მთავრობამ ფეხბურთელების დასახვედრად შეიმუშავა სპეციალური პროგრამა, რომლის თანახმადაც, ნაკრების წევრებისთვის თავისი ალტაქების გაზიარების საშუალება ქვეყნისაში დიდი ქალაქის - ბრაზილიის, რიოდე-ჟანეიროსა და სან-პაულუს მცხოვრებლებს ექნებოდათ.

აზიური მუნდიალის გამგები პირველად დედაქალაქ ბრაზილიაში იხილეს. იოკოჰამადან მომავალ თვითმფრინავს, რომელშიც ნაკრების წევრები ისხდნენ, ოთხი ვერტმფრენი მიაცვლებოდა. ზომ მიხედვით, რა სიმძლავრით დატვირთავს ჰქონდა რიცხვით სახელ "ოთხს"? ამით ორგანიზატორებს ბრაზილიელთა მიერ მოპოვებული ოთხი დამსახურებისთვის ყველას როდი შეეხებოდა და გამოხატვის ფრიად როიგინალურ საშუალებასაც მიაგნეს.

თითქმის დადაბოთსაბაითანი დამქსნველი მგზავრობის შემდეგ იაპონი-

ნანდუ ერიკე კარდოზუს უნდა მიელო, მაგრამ პრეზიდენტის სასახლემდე მიღწევა ძალიან გაჭირდა, რადგან "სელესოს" დასახვედრად მისიული ნახევარ მილიონამდე ფანი მთლიანად ფარავდა იმ თვითმტკილომეტრიან მონაკვეთს, რომელიც აეროპორტიდან პრეზიდენტის სასახლემდეა. ბუნებრივია, თითოეულ ბრაზილიელს გულით უნდოდა, მისალმებოდა თავსახურადიდ მანქანებში მჯდომ ფეხბურთელებს, გაეზიარებინა მათთვის თავისი ალტაქება. სწორედ ამის გამო თვითმტკილომეტრის გავლას, დაგეგმილი ნახევარი საათის ნაცვლად, ზოთი საათი დასჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელებმა ასე ალოდინეს, პრეზიდენტი მაინც გაღმებულნი შეხვდა "სელესოს" და ღირსების მედლებითაც დააჯილდოვა ისინი, მაგრამ მედალი განსაკუთრებული დამსახურებისთვის ყველას როდი შეეხებოდა - ოცდასამი ფეხბურთელს დასაბატიო ჯილდო მხოლოდ თითქმეტმა მითამამემ და ნაკრების თავკაცმა ლეიმ ფელაპე სკოლარემ მიიღეს. საქმე ის

ამის შემდეგ ფეხბურთელები როდე-ჟანეიროში გაემგზავრნენ. იანგერის ქალაქში პენტაკამპონებს უკვე მოუთმენლად ელოდნენ, თუმცა, როიელ გულშემატკივრებს "სელესოს" სრული შემადგენლობით ხილვის საშუალება არ მიეცათ, რადგან რივალდო, რონალდინიო, ლუსიო, ჟილბერტო სილვა, უსაზღვრო იყო. კოპაკაბანაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი და ფეხბურთელებმა კიდევ ერთხელ იგრძნეს გულშემატკივართა უსაზღვრო სიყვარული. სან-პაულუს მოქალაქეებს კი დიდხანს მოუხდათ ლოდინი, სანამ ნაკრების წევრებს შეხვედებოდნენ. ფეხბურთელებმა განათიადმდე ვერ მოახერხეს ამ ქალაქში გამგზავნება.

"სელესოს" წევრები ბენდინიები არიან და გამარჯვებას ზეიმობენ, მაგრამ თვით ამ ტრიუმფის უთუმბუმი არ ავიწყდებათ პირადი პრობლემები. ასე, მაგალითად, ვინ იფიქრებდა, რომ

ში მუნდიალზე მოპოვებული წარმატება, რომ თავის ამჟამინდელ კლუბ "ინტერისგან", მაგრამ თუ ხელფასს არ მომიმატებენ, აუცილებლად მივიღებ "რეალის" წინადადებას. მუნდიალზე გატანილი რვა გოლის შემდეგ, ვფიქრობ, მაქვს უფლება, უფრო მაღალი ანაზღაურება მოითხოვო", - განაცხადა რონალდო.

ალსანიშნავია, რომ რონალდო ვერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე ცდილობდა, გატოლებოდა კრისტიან ვიერის და მასაც იტალიელი ფორვარდის მსგავსი ანაზღაურება მიელო. "ფენომენს" მიაჩნია, რომ მილანში ჩატარებულ და, თუ მასიმი მორატო სერიოზულად არ იფიქრებს რონალდოსთვის ხელფასის მომატებაზე, მაშინ საცხები მოსალოდნელია, რომ 2002 წლის მუნდიალის "ოქროს ბუცის" მფლობელმა მადრიდის "რეალიში" გააგრძელოს კარიერა.

უიზბლდონი

წვიმა და კიდეც ერთი სენსაცია



ისევ წვიმს



სერენა უილიამსი

დიმიტრი ოზობაძე

უიზბლდონზე რომ წვიმს, ეს ჩვეულებრივი ამბავია. გუმბინდელი დღე კი კიდევ ერთი სენსაციით აღინიშნა. სპეციალისტთა უმრავლესობა აღიარებს შავკანიანი ამერიკელი დების, უილიამსების ძალას. თუმცა, ასევე უმრავლესობას მიაჩნია რომ, სერენას ან ვენუს...

სის შეჩერება მხოლოდ ვენიფერ კაპრიატის შეუძლია. მიმდინარე უიზბლდონი წვიმითა და სენსაციებით აღსავსეა. გუმბინდელის ასპარეზობას სწორედ კაპრიატი გამოეთიშა და უილიამსებს კიდევ ერთი ოჯახური ფინალის შანსი მიეცათ.

ტურნირის მესამე ნომერს ახალგაზრდა ფრანგმა ჩოგბურთელმა, ანელა მო-

რესიმომ მოუგო. ფრანგისათვის ეს მესამე უიზბლდონი და ასეთი წარმატებისათვის მორესიმოს ვერ არ მიუღწევია. 2000 წლის გათამაშებაში იგი მესამე რაუნდში გამოეთიშა ასპარეზობას. იგივე მოხდა 2001 წელსაც. დღეს კი მორესიმო ნახევარფინალში გავიდა. ფრანგმა პირველ სეტში კაპრიატის ორი მონოდეტა მოიგო და 6-3 გაიმარჯვა. კორტის ტრიბუნებზე

შეკრებილი მყურებელი დაძაბულ მეთრე სეტს ელოდა, მაგრამ მორესიმომ იოლად (6-2) გაიმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა. მისი მეტოქის ვინაობა სერენა უილიამსისა და დანიელა ჰანტურჩოვას შესხედრამ ირკვეოდა. უილიამსმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი უპირატესობა და იოლად გაიმარჯვა. პირველი სეტი ამერიკელმა 6-3 მოიგო.

მეორეში კიდევ უფრო იოლად - 6-2 გაიმარჯვა და ნახევარფინალში მორესიმოს შეხვედრა. ანალოგიურ წარმატებას მორესიმომ 1999 წელს, საფრანგეთის ლია პირველობაზეც მიაღწია და შემდეგ ფინალში წააგო. ცხადია, რომ წყვილის ფავორიტად უილიამსი ითვლება. წყვილთა ტურნირის შესხედრებში ასპელინისა და დე ვირსის

წყვილმა ჯონსონ-პოს დეტთან ორ სეტში, 6-7 და 3-6 წააგო. ბუპატომ და ლიხოვცევამ ასევე ორ სეტში, 6-2, 7-5 დაამარცხეს იაპონელები შიმადა პირველობაზეც მიაღწია და შემდეგ ფინალში წააგო. ცხადია, რომ წყვილის ფავორიტად უილიამსი ითვლება. წყვილთა ტურნირის შესხედრებში ასპელინისა და დე ვირსის

FORMULA 1

გამარჯვების მაძიებელი

პაატა თოთაძე

კარგა ხანია, რაც უკვე ვილნევის ეტაპი არ მოუგია. ის კი არა, 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონის წოდებას კარგა ხანია, რაც უკვე ვილნევის ეტაპი არ მოუპოვებია. ნუთუ

წავიდა ვილნევის დრო? ნუთუ ხუთი წლის წინანდელი პირველობა მხოლოდ მანქანის დამსახურება იყო? თავის საქმეში - ამ შემთხვევაში, ფორმულა 1-ის რბოლაში - პირველობა ნებისმიერ პილოტს უნდა და

უკა ვილნევი გამონაკლისი ხომ არ იქნება? მაგრამ, სურვილი ერთია და შესაძლებლობები - სხვა. გამარჯვების მისაღწევად ძიებას საჭირო ეძიებს კიდევ კანადელი, მაგრამ ჯერჯერობით - უშედეგოდ. თუმცა, ამ ძიებაში რალაიც-რალაიცებს მიაგნო კიდევ. უმთავრესი, რაც პილოტმა გაარკვია, ისაა, რომ წარუმატებლობა მისი კი არა, მანქანის ბრალი ყოფილა. "კონსტრუქტორებმა არაა უნდა იღონონ მანქანის გასაუმჯობესებლად. თუ ახლო მომავალში ამ მხრივ არავითარი პროგრესი არ იქნება, გუნდის დატოვება მომიწევს. დავიდავლე ლოდინით, მე გამარჯვებები მწყურია, ამას კი BAR-ის შემადგენლობაში, ვატყობ, ვერ მივაღწევ".

ვილნევის დღეში აღმოჩნდა ბრიტანელი ჯენსონ ბატონი. ფორმულა 1-ის ახალგაზრდა გმირი (როგორც მას სამშობლოში უწოდებდნენ), გუნდიდან და, საერთოდ, სპორტის ამ სახეობიდან გაეარდნის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად იქცა. მიზეზი იყო ის გაუთავებელი მარცხები, რომლებსაც ბატონი განიცდიდა. საქმე ეხება არა რომელიმე ეტაპის მოგებას, არამედ იმას, რომ ის, უბრალოდ, ქულის მოპოვებასაც ვერ ახერხებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ დაუშვებელ რბოლებზე. წარუმატებლობის მიზეზები ძიებაში ისიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დაშვება მანქანა, მისი კლასი და კვალიფიკაცია კი ვერ აღმოჩნდა ისეთი, რომ მანქანის უფარ-

ვისობა გადაეწინა ან გაემატილებინა. ამან ერთობ შეარყია ბრიტანელთა იმედის იმიჯი, თუმცა, თავად პილოტი დარწმუნებულია, რომ ერთ-ერთ ნელნაღში საკმარის გამოცდილებას შეიძენს და არც რბოლების მოგება გაუჭირდება.

სულ სხვაგვარადაა მიხაელ შუმახერის საქმე. თავად ხომ უმაღლესი კლასის პილოტი და, მანქანაც საკადრისი აქვს. თანაც, მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. მის თავყვანისცემელთა შორის ყველა რასის, საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს შეხვედრები. ცოტა ხნის წინათ ვილნევიც მისი უნიკალური, 50 000 ევროდ ღირებული მუზარადი მოიპარა. მაშინ ბევრს გაუკვირდა, რისთვის დასჭირდათ შუმახერის მუზარადი. როგორც გაირკვა, ქურდს ის სდომებდა თავისი მოძღვრისთვის, რომელიც გერმანელი პილოტის თავყვანისცემელი ყოფილა. მრბოლის წარმომადგენლები აქამდე არაერთხელ გახარებული მოძღვარი სეზონის ბოლოს კიდევ ერთხელ გაიხარებს - მის კერპს ხომ ჩემპიონობაში წაუღებს ვერავინ და ვერაფერი შეუძლია ხელს. ბოლო რბოლებში მისი თანაგუნდელის რუბენს ბარიკელის გააქტიურებამ ბრაზილიელის შანსები მომავალი რბოლის მოგებაზე შედარებით გაზარდა, თუმცა, ტოტალიზატორები უპირატესობას მაინც შუმახერს ანიჭებენ. ასეც უნდა იყოს - ის ხომ პირველი და საუკეთესოა.

კრიზი

თავდასხმა მოქრივება

"ივან სამინელის" სახელით ცნობილი რუსი მოკრივე ივან კირპი, რომელსაც თექვსმეტი მატჩიდან თერთმეტი ნოკაუტით აქვს მოგებული, შესაძლოა, ვეღარც კი დაუბრუნდეს რინგს.

20 ივლისს კირპი პუერტო-რიკოში უნდა გამგზავრებულიყო მორიგი ბრძოლის ჩასატარებლად. გვიან ღამით მოკრივე ვარჯიშიდან შინ ბრუნდებოდა, როცა მას მოულოდნელად თავს დაესხა გაურკვეველი პირისი ჯგუფი. როგორც ფიქრობენ, ისინი

ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ, ან - ნარკოტიკის.

მოკრივე პირველ სამ მოძალადეს იოლად გაუსწორდა, მაგრამ შემდეგ რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი ქნა - კირპმა წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო. ხულიგნებმა სპორტსმენი სასტიკად სცემეს და მიიმალნენ.

მოკრივე მძიმედაა დაშავებული. როგორც ექიმები ამბობენ, ის ოქტომბრამდე რინგზე გასვლას ვერ შეძლებს.

შოკი

ჰაბეკი საშობლოში დაბრუნდა

ლეგენდარული ჩეხი ჰოკეისტი დომინიკ ჰაბეკი უკვე აღარ არის ნშლ-ს წლევანდელი ჩემპიონის "დეტროიტ რედ უინგზის" შეკარე. ჰაბეკმა, რომელმაც თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში თითქმის ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა, ჰოკეისთვის თავის დაწვება და სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.

ჰაბეკის ოჯახი ასე გამოიყურება: მეუღლე ალენა, 12 წლის ვაჟიშვილი მიხაილი და 7 წლის ქალიშვილი დომინიკა. ისინი ლეგენდარული ჰოკეისტის ყველაზე საყვარელი ადამიანები არიან. "ჩვენ წელიწადნახევრის განმავლობაში ვფიქრობდით, დაგბრუნდებოდა."

რუნებულები თუ არა ჩეხეთში. მიხაილმა უმტკივნეულოდ მიიღო მისთვის უცხო გარემოში გადასახლების პერსპექტივა, დომინიკამ კი ვერ გააგო, რატომ უნდა დაგვეტოვებინა ამერიკა. ის თავის მეგობრებს დაპირდა, რომ, როცა 18 წლის გახდება, აუცილებლად ჩავა მათ სანახავად.

ჯერ არ გადაამწყვეტია, რას ვაკეთებ ახალ სამყაროში. უნდა შევგუო ოჯახის მამისა და სამოქალაქო პირის როლს", - სიტყვით ამბობს 37 წლის ჰაბეკი, რომელსაც საკუთარი ბიზნესი აქვს ტანსაცმლის მაღალიზების სახით და პარდუბიცეში ცხოვრების აწყობა, ალბათ, არ გაუჭირდება.



მიხაელ შუმახერი

NBA

ამერიკული კალათბურთის სატრანსფერო ვნებანი

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გარკვეული სიახლეებია მოსალოდნელი. ბუნებრივია, სეზონის სტარტამდე ყველას სურს, რაც შეიძლება, კარგი კალათბურთის მოიძიოს და შემაღვნილობის გაძლიერება.

დრაფტზე დაყენებული კალათბურთელები მღელვარედ ელოდნენ, როგორ გადაინაცვლებათ მათი ბედი და სად გადასვლის განება კარიერის გასაგრძელებლად. ეს საკითხი ყველაზე მეტად ადლებზე იწვევს ინტერესს. სპორტსმენებს, რომელთათვისაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაში უკვე დიდ წარმატებად ითვლება - ნა მსოფლიო კალათბურთის მექა და აქ მოხვედრა უკვე თავისთავად ნიშნავს საერთაშორისო აღიარებას.

ასეთ წარმატებას უკვე მიაღწია ხორვატმა ფორვარდმა გორდან გირიჩეკმა, რომელიც ნა-ში მოსახვედრად ჯერ კიდევ 1999 წელს იყო დრაფტზე. მაშინ ხორვატი კალათბურთელი "და-

ლას მავერკსში" გაუშვეს, მაგრამ მისი გასხვისების უფლება ჯერ "სან ანტონიოს" მიანიჭეს, შემდეგ კი "შემფის გრიზლიზს". ამ უკანასკნელმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა სპორტსმენისთვის კონტრაქტის გაფორმება და გირიჩეკი ნა-ს მეცხრე ხორვატი კალათბურთელი გახდა.

საქმე შავად წაუვიდა "გორდონ სტივტი უორიორზის" შემტევე მცველს ლარი ჰოუსს, რომელსაც ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა. ჰოუსი "უორიორზში" 1998 წელს მოხვდა. პირველი სეზონი კარგად ჩაატარა - 32 მატჩში 22 ქულა დააგროვა და მისით ყველა კმაყოფილი იყო, მაგრამ შემდეგ სიტუაცია შეიცვალა - სპორტსმენმა მუხლის ტრავმა მიიღო და დროებით შესვენება მოუხდა. როცა ტრავმა მოიშუმა და მოედანზე დაბრუნდა, ძველი ფორმის აღდგენა ვეღარ შეძლო. თავის პოზიციაზე სხვა კალათბურთელი დახვდა და დაცვაში მოუხდა თამაში, რასაც,

ასე თუ ისე, გაართვა თავი, მაგრამ იმის გამო, რომ საჯაროობის მაინცადაზინც კარგად ვეღარ ტყორცნიდა, სასტრატო შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. მის ნაცვლად კი კლუბში ჯილბერტ არენასი დამკვიდრდა.

მოუზი, ალბათ, ვეღარ შეძლებს გუნდში პოზიციების დაბრუნებას, რადგან "უორიორზმა" უკვე სამი ახალგაზრდა, ნიჭიერი კალათბურთელი იყიდა. მაიკ დანლივი (უმცროსი), სტივ ლოვანი და იური უელში - აი, "უორიორზის" ახალ მენეჯერს სია. ამგვარი კონკურენციის პირობებში ჰოუსის მანსები მეტად მცირეა.

"ნუ-იორკ ნიკსის" წარსულში მეუღარებელ თავდასხმელს ჩარლზ ოუკლის სატრანსფერო საკითხები, დიდი ხანია, აღარ აღელვებს, მაგრამ თავისი ყოფილი კლუბის ამბები მაინც ძალიან აინტერესებს. და აი, ოუკლმა აღმოაჩინა, რომ მისი 34 წლიანი კლუბის ხელმძღვანელობამ მისცა ახლად შექმნილ ფორვარდს ანტონიო მაკდაისს, რომე-

ლიც ძველ კლუბ "დენვერში" 24 წლიანი გამოდიოდა. საქმე ის არის, რომ "ნიკსს" მაკდაისისთვის 24 წლის მიცემამ არ შეეძლო, რადგან ამ წლიდან კლუბში ლეგენდარული ბილ პირელი თამაშობდა.

თავის დროზე "ოუკს" შეპირდნენ, რომ მის მისურას მედისონ სკუერ გარდენზე გამოეწვიებინათ. ასე რომ, ყოფილი კალათბურთელი არ ელოდა, თუ კლუბი მის წინაშე სხვას მისცემდა. "დალასის" მთავარი მწვრთნელის დონ ნელსონის ვაჟმა კი უარი განაცხადა "დენვერ ნაგეტსში" მწვრთნელად წასვლაზე, რადგან მას "დალასში" დარჩენა და მამისთვის დახმარების განცევა სურს. ნელსონ უმცროსმა მიიღო "დალასის" ხელმძღვანელობის წინადადება და თანახმაა, გახდეს კლუბის ტექნიკური პრეზიდენტი. თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ სურს, მამას დაეხმაროს და მომავალ სეზონში "დალასი" ჩემპიონი გახდეს.



დომინიკ ჰაბეკი

